ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

დოდო გუგეშაშვილის შვილის, ნოდარ გუგეშაშვილის, მკვლელობისთვის ლეიტენანტი ზაზა მურჯიკნელი დააკავეს

გვ.5

21 იანვრიდან
რევაზ მიშველაძე
ქრისტე
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



შაბათი – კვირა, 25 – 26 იანვარი, 2020 | №20 (8284) | ფასი: 60 თეთრი

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძის დავალებით მცემეს“

გვ.3

„მე ამ თვალს მალე მოვირჩენ, მაგრამ კალაძე რამდენად მყარად იქნება, ვნახოთ“

გიორგი მშვენიერაძე: „თეა წულუკიანმა კანონი დაარღვია და მისი პასუხისმგებლობა დგება“

გვ.2

არ შეიძლება მინისტრი მიზანმიმართულად და გამიზნულად არღვევდეს კანონსა და საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ დაიცვას კონფიდენციალობა

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილს გახარია პრემიერ-მინისტრად ალარ უნდა“

„კალაძე შეეცდება, შიგნიდან გამოუთხაროს ძირი ივანიშვილს და თვითონ დარჩეს „ოცნების“ ლიდერად“

გვ.3

გვ.4

სოსო ცინცაძე: „ოცნებას“ ურჩევნია, ახლა წააგოს არჩევნები, რომ მომავლის შანსი დაიტოვოს“

„ოპოზიციამ წულუკიანს ყოველდღე მადლობები უნდა უხადოს“

გვ.4

თურქეთში აფხაზეთის აღიარებაზე ალაპარაკდნენ

გიგი უგულავა: „თქვენ არ ხართ დეპუტატები, თქვენ ხართ ნაგავი“

გვ.2

ISSN 1987-9385

5 ადვოკატი კაკაბაძე: „კალანდიებმა ბოდიში უნდა მოიხადონ“

2 ბექა დავითულიანი: „ჩემს ძაღლს უფრო მეტ პატივს ვცემ, ვიდრე ლევან ხაბეიშვილს“

5 დევნილთა კუთვნილი 71.972 ლარის მითვისებისთვის 5 პირი დააკავეს

6 ჩინეთის ჯანდაცვის სისტემა საგანგებო რეჟიმში მუშაობს

გიორგი მშვენიერაძე: „თეა წულუკიანმა კანონი დაარღვია და მისი პასუხისმგებლობა დგება“

არ შეიძლება მინისტრი მიზანმიმართულად და გამიზნულად არღვევდეს კანონსა და საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ დაიცვას კონფიდენციალობა

იაგო ნაცვლიშვილი

რომელ მსჯავრდებულებს შეხვდა, სახალხო დამცველი არ ამბობდა, მაგრამ ეს გაასაჯაროა პენიტენციურმა სამსახურმა. დაირღვა თუ არა კანონი?

იუსტიციის მინისტრისა და სახალხო დამცველის დაპირისპირება გრძელდება. 23 იანვარს ნინო ლომჯარია ე. წ. მატროსოვის ციხეში იმყოფებოდა ვანო მერაბიშვილისა და ირაკლი ოქრუაშვილის მოსანახულებლად, რაც გაასაჯაროა პენიტენციურმა სამსახურმა, მაშინ როცა, კონკრეტულ დეტალებზე ომბუდსმენს არ უსაუბრია. ამის გამო ნინო ლომჯარია თეა წულუკიანს კანონის დარღვევასა და სახალხო დამცველის ინსტიტუტის საქმეების ზემოქმედებაში ადანაშაულებს.

დაარღვია თუ არა კანონი, რა პასუხისმგებლობა ეკისრება თეა წულუკიანს და არის თუ არა საგანგაშო „მთავარი არხის“ გავრცელებული ინფორმაცია, როდესაც პოლიციელს, რომელმაც ლევან იზორიას ძმა დააკავა, ის გააშვებინეს, დააქვეითეს და დამუქრნენ? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ხელმძღვანელი **გიორგი მშვენიერაძე** საუბრობს:

– ვნახეთ თეა წულუკიანის და ნინო ლომჯარიას პაექრობის მორიგი ეტაპი. ომბუდსმენი შესული იყო ე. წ. მატროსოვის ციხეში, თუმცა რომელ მსჯავრდებულებს შეხვდა, სახალხო დამცველი არ ამბობდა, მაგრამ ეს გაასაჯაროა პენიტენციურმა სამსახურმა. დაირღვა თუ არა კანონი?

– დიახ. იმიტომ, რომ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საკანონმდებლო მოთხოვნებზე, ეს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება იყოს ისეთი დარღვევა, რასაც მნიშვნელოვანი ზიანი არ მოაქვს, მაგრამ ეს შემთხვევა ნამდვილად განსხვავებულია ამისგან და ეს იყო მიზანმიმართული ქმედება, რათა პენიტენციურ სამსახურს გაესაჯაროებინა ის ინფორმაცია, რომელიც კანონის მიხედვით კონფიდენციალურია. კერძოდ, ამას არეგულირებს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის მესამე პუნქტით, სადაც ნათლად წერია, რომ სახალხო დამცველის პატიმართან შეხვედრა კონფიდენციალურია. ამის გამეღავნება მოხდა თავად სახალხო დამცველისა და პატიმრის თანხმობის გარეშე. ეს არის კანონის არა მხოლოდ ფორმალური დარღვევა, არამედ მიზანმიმართული ფაქტი და ასეთი ფაქტის გასაჯაროება აზიანებს სახალხო დამცველის მიმართ სანდოობასა და ავტორიტეტს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ომბუდსმენის ინსტიტუტზე.

იმიტომ, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი არის ნდობასა და ავტორიტეტზე დაფუძნებული ინსტიტუტი. თუ პატიმრები დაკარგავენ ნდობას მასთან შეხვედრების შესახებ, მაშინ ეს დაზიანებს ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობას, რადგანაც ეს ეფუძნება კონფიდენციალობის საკითხებს.

თუკი ამ რამდენიმედღიან მოვლენებს თვალს მივადევნებთ, ჩანს, რომ წულუკიანი მიზანმიმართულად ცდილობს ამ კომპონენტის დაკნინებას, რომ სახალხო დამცველის ნდობას შეუქმნას პრობლემა. კანონში წერია, რომ ომბუდსმენის შეხვედრა პატიმართან უნდა იყოს კონფიდენციალური და მიყურადება თუ თვალთვალი დაუშვებელია. ჩვენ ვნახეთ, რომ ესეც არ არის დაცული და ვიდეო თვალთვალი ხორციელდებოდა, რაც ასევე დარღვევაა, ხოლო შემდეგ მისი გასაჯაროება გზავნილი იყო პატიმრებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, რომ მიმდინარეობს თვალთვალი და მეორე, როდესაც საჭიროდ ჩავთვლით, ამ შეხვედრებს გავასაჯაროებთო.

– რა მიზანი აქვს ამ შემთხვევაში თეა წულუკიანს? რის მიღწევას ცდილობს?

– არ ვიცი. აქ ბევრნაირი ეჭვები შეიძლება იყოს. სახალხო დამცველისთვის ეს არის მის საქმიანობაზე ერთგვარი ზემოქმედება, გაკეთდა ასეთი განცხადებები. შეიძლება ეს ეჭვი საფუძვლიანად ჩანდეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ გამოძიების დაწყება იქნება აუცილებელი და ლოგიკური, თუმცა მიზნებიც რომ არ დავადგინოთ, თუ რა მიზნით მოქმედებს იუსტიციის სამინისტრო და მინისტრი, შეგვიძლია ვიმსჯელოთ შედეგიდან გამომდინარე. შედეგი იქნება, სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაზიანება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გიგი უგულავა: „თქვენ არ ხართ დეპუტატები, თქვენ ხართ ნაგავი“

– თქვენ ხართ ნაგავი, რომელიც არჩევნებზე საკრებულოდან და პარლამენტიდან უნდა გავიტანოთ.

ასე მიმართა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ თბილისის საკრებულოში დეპუტატ ლევან ხაბეიშვილთან დაპირისპირებაში მონაწილე პირებს.

– ყველას, ვინც ამაში მონაწილეობდა, პირდაპირ მინდა გითხრათ, თქვენ არ ხართ საკრებულოს დეპუტატები, თქვენ ხართ ნაგავი. ნაგავი, რომელიც არჩევნებზე საკრებულოდან უნდა გავიტანოთ. ნაგავი, რომელიც არჩევნებზე უნდა გავიტანოთ პარლამენტიდან.

რაც უფრო დიდი ხანი დარჩება ეს ნაგავი, მით უფრო აყროლდება. აყროლდება ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე აყროლდა ასლან აბაშიძის რეჟიმი. ფურთხის და გინების ღირსია თითოეული ის ტურა, ვინც ათი ერთზე ჩხუბობს. უბრალოდ, მართლა დედათქვენებს რას ვერჩი, თორემ სათითაოდ ხართ მოსაკითხები, იმიტომ, რომ არ გესმით, რა არის დეპუტატი.

არშემდგარი, ჩვეულებრივი ქუჩის ბიჭები ხართ. რამდენიმე თქვენგანი კალაძის პირდაპირი „შნირი“ ბრძანდებით. ეს არის დღეს „ქართული ოცნების“ ხროვა თბილისის საკრებულოში, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ბექა დავითულიანი: „ჩემს ძაღლს უფრო მეტ პატივს ვცემ, ვიდრე ლევან ხაბეიშვილს“

– გთავაზობთ, ლევან ხაბეიშვილს სრული იგნორირება გავუკეთოთ, იაროს და იყეფოს, რამდენიც უნდა.

ასე მიმართა 24 იანვარს საკრებულოს დეპუტატებს სხდომაზე უმრავლესობის ლიდერმა ბექა დავითულიანმა.

როგორც დავითულიანმა განაცხადა, ლევან ხაბეიშვილს კოლეგად არ მიიჩნევს.

– ნამდვილად არ არის საკრებულო მუშტი-კრივის და დედის გინების ადგილი. ის არსება, რომელზეც ვსაუბრობთ და რომელიც იყო ინციდენტის მონაწილე, ცოტა ხნის წინ დაჯდა ეთერში და მიმართა უმრავლესობის ყველა წევრს და უწოდა ფარჩაკი, იდიოტი და არაკაცი.

ფიზიკურ დაპირისპირებას და შეურაცხყოფას არავისას არ ვამართლებ და არც ის წარმომიდგენია, აქ რომ იყოს ლევანი და ვაგინო, ეს იყოს ნორმალური. მაგრამ ორი წელია ეს ადამიანი იწვევს, რომ ეს მოხდეს. მე გთავაზობთ ერთ რამეს – საერთოდ არ მიმაჩნია ის არც ჩემს კოლეგად, არც მიმართვის ღირსად, გავუკეთოთ იგნორირება, თავში ქვა უხლია, მის სიტყვას ფასი არ აქვს, იმიტომ, რომ მისი ყოველი სიტყვა არის ტყუილი. რაც უნდა, ის ულაპარაკია. უნდა ძაღლს უყეფია, არა, ჩემს ძაღლს ბევრად მეტ პატივს ვცემ, გინდა მას ულაპარაკია, – განაცხადა დავითულიანმა.

მისივე თქმით, დასუფთავების თანამშრომლების ხელფასებს განსაზღვრავს ტენდერში გამარჯვებული კომპანიის პოლიტიკა და არა საკრებულო.

– იმ ქალბატონებს მივმართავ, რომლებიც ჩვენს ოფისს ასუფთავებენ. ისინი ტენდერში გამარჯვებული კომპანიის თანამშრომლები არიან და ამ კომპანიის პოლიტიკით განესაზღვრებათ ხელფასები. ჩვენ არანაირი ბერკეტი არ გაგვაჩნია მათი ხელფასების გაზრდის. აქ არავინაა არაადამიანი, როგორადაც ლევანი წარმოგვაჩენს. ბოდიში, საზოგადოებას ამ ინციდენტის ნახვა რომ მოუწია, – განაცხადა დავითულიანმა.

თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატებსა და ნაციონალური მოძრაობის წევრ ლევან ხაბეიშვილს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

დაპირისპირება გაერთიანებული კომისიის სხდომაზე მოხდა და მასში დეპუტატები ავთანდილ ცინცაძე, ირაკლი ზარქუა, გიორგი ჩაკვეტაძე და ალექსანდრე ხუჯაძე მონაწილეობდნენ.

ხაბეიშვილს დაზიანებები თვალის არეში აღენიშნება.

ლევან იზორიას ძმის დაკავების დაფარვაში რამდენიმე მაღალჩინოსანი მონაწილეობდა

ხატია დეკანოიძემ მათი გვარები დაასახელა

ნაციონალური მოძრაობის წევრი ხატია დეკანოიძე იმ მაღალჩინოსნების ვინაობას ასაჯაროებს, რომლებიც, მისივე თქმით, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მოადგილე ლევან იზორიას ძმის, ვახტანგ (კიტა) იზორიას დაკავების ფაქტის დაფარვაში ეხმარებოდნენ.

საქმე ეხება ლევან იზორიას მინისტრის მოადგილეობის დროს, მისი ძმის ვახტანგ იზორიას დაკავებას, როდესაც მან პოლიციელებთან დაპირისპირება ლევან იზორიას თანამდებობის გამოყენებით სცადა.

24 იანვრის ბრიფინგზე ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ პოლიციელი გიორგი დვალიშვილი, რომელმაც უშუალოდ დააკავა ვახტანგ (კიტა) იზორია, კანონის სრული დაცვით მოქმედებდა. თუმცა, მაღალჩინოსნების ჩარევის შემდეგ, კიტა იზორია გაათავისუფლეს და მას მოუბოდიშეს კიდეც.

– პოლიციელმა გიორგი დვალიშვილმა შეასრულა მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობა. ლევან იზორიას ძმა სარგებლობს იმუნიტეტით და უფრო მეტიც, ყველაზე ამაზრზენიც ის არის, რომ მისი გათავისუფლების შემდეგ, პოლიციელებს, რომლებიც საქართველოს ღირსეულად ემსახურებიან, აიძულებენ იზორიასთვის „ბოდიშის“ მოხდას.

ინციდენტის შემდეგ, როდესაც ლევან იზორიას ძმას აკავებს მაიორი გიორგი დვალიშვილი, მიდის ოცმეთაური დავით შენგელია, რომელიც მუშაობს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მაღალ თანამდებობაზე, ასევე შენგელია საქმის კურსში აყენებს სადღობელაშვილს, რომელიც მაშინ იყო ასმეთაური, ახლა კი არის მთაწმინდა-კრწანისის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ინციდენტის დაფარვაში მონაწილეობდნენ სახაზოს უფროსი დავით მიქიაშვილი და თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსის მოადგილე ლაშა ჯოხაძე.

ასევე ლევან იზორია ავალებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელ უფროს ცინარიძეს და მის მოადგილეს, რომ დაფარონ დანაშაული – მივიდნენ ადგილზე, გაეცნონ და გაათავისუფლონ კიტა იზორია. ასევე აიძულონ პოლიციელები, რომლებიც იცავდნენ კანონს, რომ „ბოდიში“ მოუხადონ დაკავებულ კიტა იზორიას.

მე ამ ინფორმაციას ვასაჯაროებ გიორგი დვალიშვილთან და მის ოჯახთან შეთანხმებით. მე შევხვდი მათ და მას შემდეგ, რაც მე გამოვედი მათი სახლიდან, სადარბაზოსთან დაგვხვდა სუს-ის წარმომადგენელი, რომელიც ტელეფონით იღებდა ყველას, ვინც მასთან მიდიოდა. მანქანის ნომერი ვიცი. ეს ყველაფერი ადასტურებს იმ მახინჯ სისტემას, რომელიც დღეს არსებობს, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

მისივე თქმით, ამ დანაშაულის დაფარვაში ჩართული იყო ყველა, მინისტრი, მინისტრის მაშინდელი ორი მოადგილე, ლევან იზორია და ვახტანგ გომელაური, ამ დანაშაულის შესახებ იცის პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ.

– ამ დანაშაულის დაფარვაში ჩართულები არიან შსს-ს მაღალჩინოსნები. მეტიც, რაც ლევან იზორიას ძმა გაუშვეს, გაათავისუფლეს, თვითონ საპატრულო პოლიციის მანქანიდან, ლევან იზორიამ ძმას მისცა ოპერატიული საშვი, ე.წ. ნარუშილოვკა, რომელიც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს აღარ მისცემდა შესაძლებლობას, კვლავ დაეკავებინათ კიტა იზორია, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

„მთავარი არხის“ სიუჟეტის ინფორმაციით, 2014 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის ლევან იზორიას ძმა ვახტანგ (კიტა) იზორია დააკავეს. სიუჟეტში პოლიციის მაიორი გიორგი დვალიშვილი, რომელმაც უშუალოდ დააკავა იზორია, მომხდარის შემდეგ მის მიმართ დაწყებულ დევნაზე საუბრობს.

ნინო ლომჯარია: „თეა წულუკიანმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა“

საქართველოს სახალხო დამცველმა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი ვიზიტის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით 24 იანვარს საგანგებო ბრიფინგი გამართა. ნინო ლომჯარიას თქმით, იუსტიციის სამინისტრომ დაარღვია კანონი, რაც ვიზიტის კონფიდენციალობის შენახვას ეხება და იუსტიციის მინისტრმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. ნინო ლომჯარია მოუწოდებს ხელისუფლების უმაღლეს პირებს, სახალხო დამცველის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთონ, პროკურატურისგან კი გამოძიების დაწყებას მოითხოვს:

– იუსტიციის მინისტრის მხრიდან ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული, კერძოდ, ადგილი აქვს სახალხო დამცველზე ზემოქმედებისა და ხელშეშლის მცდელობას. ყველაზე სამწუხარო არის ის, რომ იუსტიციის მინისტრი საკუთარი პირადი, თუ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, დანაშაულებრივ ქმედებებში რთავს პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებსაც. მოვუწოდებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გააკეთონ სახალხო დამცველის მხარდამჭერი განცხადებები. მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, მომცენ ჩემი თანამშრომლების საქმიანობის უსაფრთხოების გარანტიები პენიტენციურ სისტემაში, მოვუწოდებ საქართველოს პროკურატურას, დაიწყოს დაუყოვნებლივ გამოძიება სახალხო დამცველის მიმართ უფლებამოსილების განხორციელების ხელის შეშლის და ზემოქმედების ფაქტზე. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამაში არის ჩარეული იუსტიციის მინისტრი, ქალბატონი თეა წულუკიანი და მისი მითითების შედეგად ხორციელდებოდა ჩემ მიმართ უკანონო თვალთვალი. თვალთვალს ვამბობ იქიდან გამომდინარე, რომ ოფიციალური განცხადება პენიტენციურმა სამსახურმა საკუთარ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა ჩემ მიერ უწყების დატოვებიდან 5 წუთში, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

ანა დოლიძე: „უცხოეთში გაღაფრენა და მედიკამენტების შეძენა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე აქ ყიდვა“

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე კვლავ ითხოვს, კონკურენციის სააგენტომ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ფასები შეისწავლოს და გაარკვიოს, რამდენად აქვს ადგილი მონოპოლიას და ფასების ხელოვნურ ზრდას. დოლიძემ კონკურენციის სააგენტოს ფასების შესწავლის მიზნით რამდენჯერმე უკვე მიმართა, თუმცა უწყებას მონიტორინგის შედეგები ამ დრომდე არ გამოუქვეყნებია.

– ბევრი ჩვენი მოქალაქე დარდობს იმაზე, რომ მას ბევრად უფრო იაფი უჯდება უცხოეთიდან წამლების შემოტანა, თურქეთში გადაფრენა და ჩამოსვლა, ვიდრე საქართველოში წამლების შეძენა.

კონკურენციის სააგენტომ 3 დღეში უნდა გვიპასუხოს, მიიღებს თუ არა ამ განაცხადს. ერთ თვეში ჩვენ ვაიძულებთ, რომ დადოს დასკვნა, რადგან 2 წელია, რაც გაცხადებულია, რომ წამლების ფასებს შეისწავლის, მაგრამ როგორც თქვენ არ გაგიგიათ მათი დასკვნა, ისე მე არ გამიგია, – განაცხადა ანა დოლიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძის დავალებით მცემეს“

„მე ამ თვალს მალე მოვირჩენ, მაგრამ კალაძე რამდენად მყარად იქნება, ვნახოთ“

ნონა ცაბაძე

საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა 24 იანვრის სხდომა თბილისის საკრებულოში. „ქართული ოცნების“ დეპუტატები ნაცმოძრაობის წევრს, **ლევან ხაბეიშვილს**, სასტიკად გაუსწორდნენ. ხაბეიშვილს დაზიანებები აქვს სახის არეში, მას დალურჯებული აქვს თვალი.

– ლევან, რა მოხდა, რას მოჰყვა ეს დაპირისპირება?

– როგორც სჩვევია „ქართულ ოცნებას“, ასე ქურდულად და მიპარვით, ერთ ადამიანს დამესია რამდენიმე დეპუტატი. ძალიან პრიმიტიულები არიან, ფიქრობენ, რომ ამ ფორმით შემაშინებენ. არ გამოუვათ. მათი სტილია ლაჩრობა, ზურგიდან მოპარვა. ერთ ადამიანს, ფაქტობრივად, რამდენიმე ქოცი სვავი დამესია.

ნუ გგონიათ, რომ ჩემი თვალი ან შუბლი არის პრობლემა. მე გადავდე ჩემი ცხოვრება, ჩემი ოჯახი ბიძინა ივანიშვილთან, კალაძესთან და ამ ქურდულ სამყაროსთან ბრძოლაში. ვინმეს თუ ჰგონია, რომ მომერია, შეცდა. ერთი ერთზე რატომ ვერ მერევიან?! 10-15 კი, მარტო თუ ვარ, მერევიან.

– რატომ გაგისწორდნენ ასე სასტიკად?

– როგორ გავბედე და როგორ დავიცავი ის დამლაგებლები, რომლებსაც 8 ლარს უხდიან დღეში. ამის თაობაზე 2 დღის წინაც ხომ მოგეცით ინტერვიუ?! ზუსტად ამაზე არ ვსაუბრობდით?! დღეში რომ 3 დოლარი აქვთ ანაზღაურება ამ ადამიანებს და მონებად ამუშავებენ, ამის თქმა როგორ გავბედე, აი, რის გამო გამისწორდნენ. თვითონ რომ ათასებს იღებენ, ამ ხალხს მონებად ამუშავებენ. ახლა გამოვიდნენ მაგარი ბიჭები, ერთს რომ დამესივნენ. პირდაპირ ვეუბნები – ფარჩაკები ხართ!

– ლევან, ვინ დაგარტყათ კონკრეტულად?

– ყველა მისწორდებოდა ფიზიკურად. სვავებივით დამეხვივნენ ერთ კაცს. წიხლებით მოდიოდნენ ეს ლაჩრები, თანაც ერთი და ორი კი არა. ათი მაინც მირტყამდა ერთად.

– თვალში ვინ დაგარტყათ?

– ასე კონკრეტულად არ ვიცი, ვინ სად მირტყამდა. თვალი კი არა, ოჯახი მაქვს გადადებული. ბოლომდე ვიბრძოლებ ამათ წინააღმდეგ, ესენი ვერ შემაშინებენ. თვალი ჩამილურჯეს და ალბათ კალაძე ამით ბედნიერია. სულ კორუმპირებულს და ქურდს ვეძახი, მას ამაზე ტანში აჟრიალებდა და ახლა ალბათ ძალიან ბედნიერია, ხაბეიშვილს თვალი დავუზიანეო.

თუმცა მორალური უპირატესობა არის ჩვენს მხარეს. ახლა მარტო მე კი არ დამარტყეს, დაარტყეს ყველას, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს. ეს მუჭი უკან მოგიტრიალდებათ, ოღონდ ხაბეიშვილი კი არა, ქართველი ხალხი მოგიტრიალებთ! მე თვალი დამილურჯეს? ესენი არჩევნებზე გალურჯდებიან, ქართველი ხალხი გაალურჯებს მათ.

– დაიწყება გამოძიება მომხდარზე?

– რა გამოძიება, ესენი რისი გამომძიებლები არიან. არც მე მაინტერესებს ეს ყველაფერი. თვალიც გაივლის, თავიც და ფეხიც. მე არაფერი არ მტკივა, ჩემი ქვეყანა მტკივა, რომ ასეთ კრიმინალებს აქვს ხელში ჩაგდებული.

ეს ხალხი ხელისუფლებაშია, ეს ხალხი პოლიტიკურ ოპონენტს, დეპუტატს, საკრებულოს შენობაში, ბიუროს სხდომაზე, ფიზიკურად უსწორდება. ბნელა ქვეყანაში ხალხო, „ბესპრედელია“!

ხალხო, ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ მათ რამის გამოსწორება შეუძლიათ. მათ მხოლოდ ფიზიკურად დაპირისპირება შეუძლიათ ერთთან ათს. გარდა იმისა, რომ ლაჩრები არიან, თან გონებაჩლუნგებიც არიან. მათი ქმედება არანაირ საქციელში არ ჯდება. ერთ კაცს, მე, ლევან ხაბეიშვილს, გამისწორდა სრულიად „ქართული ოცნება“! სვავებივით დამესივნენ, თანაც ჩუმად და მოგუდულად.

– ვინ დაიწყო კონკრეტულად ეს ყველაფერი, არ იტყვით იმ დეპუტატის გვარს?

– გვარები რა საჭიროა, ყველა მათგანს ერთი გვარი აქვს, ესენი არიან ივანიშვილ-კალაძეები. ესენი კოლექტიურ ივანიშვილ-კალაძეები არიან. ეს იყო კალაძის და ივანიშვილის მოქნეული ხელი განსხვავებული აზრის წინააღმდეგ.

2012 წლიდან მოყოლებული მეც და ჩემი მეგობრებიც თავდაუზოგავად ვიბრძვით მათ წინააღმდეგ და ასე გავაგრძელებთ. მე ვარ ის ადამიანი, ვინც ყველაზე მეტი ფაქტით ამხილა კალაძეც და ივანიშვილიც. აი, ამის გამო მომხვდა. ჩემი პოლიტიკური განცხადებების გამო დამესივნენ. ვერ აიტანეს, სიმართლეს რომ ვამბობ. ამიტომ საკრებულოს დეპუტატს პირდაპირ საკრებულოს დარბაზში გამისწორდნენ.

– თქვენი შეშინება სცადეს?

– სასაცილოა. ნურავის ჰგონია, რომ ამით შემაშინებენ. კიდევ ბევრ განცხადებას გავაკეთებ მათი კორუმპირებულობის შესახებ. ეს იყო პირადად კალაძის დავალება.

– რა, რომ თქვენ ეცემეთ?

– დიახ, პირადად კალაძის დავალება იყო, რომ ხაბეიშვილი მაჩვენეთ ნაცემი და დაზარალებული. ამ ხნის განმავლობაში ვერ წამაქციეს და ვერც მომავალში წამაქცევენ. ხან ხელი მომიქნიეს, ხან შუბლი მომადეს, მე მაინც ვერ მომერევიან. ეს იყო კალაძის დავალება, რომ მაჩვენეთ ეგ ტიპი ნაცემი, დაალურჯეთო, ესენიც ლაჩრები არიან და შეასრულეს დავალება.

– რას აპირებთ, ლევან?

– ვაპირებ ბოლომდე ბრძოლას.

– დაინტერესდება გამოძიება ამ საქმით?

– რა გამოძიება, ჩვენ არ ვცხოვრობთ სამართლებრივ ქვეყანაში. ვინმე ფიქრობს, რომ ამ საქმეს გამოიძიებენ სამართალდამცავი ორგანოები და კალაძის ჩმორებს დასჯიან?! ვიბრძოლებ ბოლომდე.

დღევანდელი მუშტი, დღევანდელი წიხლი, რომელიც მე მომაყოლეს, ასმაგად მაძლიერებს. მე ვიბრძოლებ ჩვენი შვილების მომავლისთვის ბოლომდე. ეს მუშტი მოგვიქნიეს ყველას, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს. ეს იყო კალაძის პირადი ინიციატივა. მე ამ თვალს მალე მოვირჩენ, მაგრამ კახი კალაძე რამდენად მყარად იქნება, ვნახოთ. ამით მე უფრო გამაძლიერეს.

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილს გახარია პრემიერ-მინისტრად აღარ უნდა“

„კალაძე შეეცდება, შიგნიდან გამოუთხაროს ძირი ივანიშვილს და თვითონ დარჩეს „ოცნების“ ლიდერად“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? კონგრესმენების მიერ გამოგზავნილ წერილებზე ვხედავთ, როგორი არაადეკვატური რეაქცია აქვთ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ფეიკნიუსებზე აგებული წერილებია, ეს კონგრესმენები ნაციონალების მოსყიდულები არიანო და ასე შემდეგ. რა ხდება, სიტუაციას რეალურად ვერ აღიქვამენ?

– არა, როგორ არ აღიქვამენ, სიტუაციას ძალიან კარგად აღიქვამენ. არაჩვეულებრივად ესმით, რა მდგომარეობაში არიან, მაგრამ ყველა ეს განცხადება კეთდება არა საზოგადოების მეორე ნაწილისათვის, რომელსაც მე წარმოვადგენ, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანებისთვის, არამედ თავისი მხარდამჭერების გასაგონად, მათ შესაგულიანებლად. უკვე დადგა ისეთი მომენტი, როდესაც გადამწყვეტი ბრძოლა იწყება. ერთადერთი, რაც მათ აწუხებთ, არის ის, თუ როგორ შეძლებენ ადმინისტრაციული რესურსის თავმოყრას, როგორ შეძლებენ მოსყიდვას, ეს იქნება ფულით თუ კრიმინალის ჩარევით, ხალხის დაშინებით და ასე შემდეგ. ესენი უკვე ემზადებიან არჩევნებისთვის და ეს განცხადებებიც და ეს ბაქიბუქიც წინასაარჩევნო განცხადებებია. მეორე მხრივ, დასავლეთიდან ჩვენ ვხედავთ ძალიან მძიმე შეფასებებს, უკიდურესად მძიმე შეფასებებს. ეს არ არის უბრალო, ასეთი რამ არ ყოფილა არასდროს.

– სანქციებსაც ხომ არ დაგვიწესებენ? მხოლოდ წერილებით შემოიფარგლებიან?

– ეს, ჩემი აზრით, უბრალოდ, განცხადებებია, რათა შეასმინონ ამ კაცს, რომ მისი დრო ამოიწურა. ყველაფერი დამოკიდებული იქნება საქართველოს მოსახლეობაზე. ორი ვარიანტია არჩევნების შედეგის. ერთი, რომ ისინი დამარცხდებიან და ძალიან მძიმედ, ან შეეცდებიან უმრავლესობის მოპოვებას სხვადასხვა ხერხით.

– რა ხერხით?

– რა ხერხებით, ამას აღარ ჩამოვთვლი, მაგრამ მოუწევთ ხელისუფლების განაწილება ოპოზიციურ პარტიებთან. შესაძლებელია, მოუწიოთ კოალიციური მთავრობის შექმნა და, დიდი ალბათობით, ასეც იქნება, მთავრობაში სხვადასხვა პარტიის მონაწილეობის ჯერი დადგება.

– საკმაოდ მკაცრი და დამაჯერებელი ტონი აქვს გახარიას. რისი იმედი აქვს?

– გახარიას საერთოდ დამაჯერებელი ტონი აქვს. ამიტომაც უყვარს ხალხს, მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც „ოცნებას“ უჭერს მხარს. მათ ძალიან უყვართ გახარია და დიდ პატივს სცემენ, როგორც შეუდრეკელ მებრძოლს ნაციონალურ მოძრაობასთან. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა. მთელ ოპოზიციას აიგივებენ ნაცმოძრაობასთან, რაც ყველაზე კომიკურია. ახლა ისევ დაიწყება, რომ აი, მიშა მოვა, ისევ ბუათი შეგვაშინებენ.

– ამ ყველაფერს თავად მიშაც რომ უწყობს ხელს თავისი განცხადებებით?

– იცით, როგორი რაღაცაა? მიშაა, რაა, ვერ შევცვლით ამ ადამიანს. ის არის ჰიპერაქტიური. ჰიპერაქტიური რომ იყო, როდესაც საქმეს აკეთებდა, ძალიან კარგი იყო.

– ახლა ისე გამოდის, რომ ბიძინას წისქვილზე ასხამს წყალს თავისი განცხადებებით.

– ის იმავე სამუშაოს ასრულებს, რომელსაც გახარია – თავისი მხარდამჭერებისთვის, თავის მომხრეებს აგულიანებს და აძლევს მუხტს. ერთ მხარეს მუშაობენ „ქართული ოცნების“ მესვეურები თავიანთ მომხრეებზე, მეორე მხარეს – ნაციონალები თავიანთ მომხრეებზე. დაახლოებით ერთი და იგივე რაოდენობა აქვთ პროცენტულად, ხოლო ამომრჩევლების უფრო დიდი რაოდენობა არის შუაში და არც ერთი არ უნდა.

– ვინ წაიღებს ამ ხმებს, ეს არის მთავარი.

– აი, სწორედ მაგ ხმებზე იქნება მთავარი ბრძოლა. რა იქნება ამ ხალხისათვის უფრო მნიშვნელოვანი, ის, რომ ბიძინას ტყუილებს კიდევ ერთხელ გადაყლაპავენ თუ არ შეშინდებიან, არ შეეშინდებათ ამ ნაციონალების და საღად შეხედავენ ყველაფერს. ამ ხალხს ვეუბნები, რომ ნაციონალები მარტო ვერ მოვლენ. ეს გამორიცხულია. ნებისმიერი კვლევა აჩვენებს, რომ მათი რეიტინგი 13%-ს ვერ სცდება. საჭიროა ოპოზიციური ერთობა. ჯერჯერობით ოპოზიციური ველი ერთიანია, თუმცა ეს – კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რა იქნება არჩევნებისთვის, გამოჩნდება.

– გახარიასა და მის ტონზე საუბრობდით. რა ხდება დღეს „ოცნებაში“? მას და ივანიშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა, მალე შეცვლასაც უპირებსო. წულუკიანმაც დააანონსა გადადგომა. ივანიშვილი სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს?

– რამდენიმე ხნის წინ გვარამიამ დაწერა ეს სავარაუდო გეგმა, ამას მოხსნიან, ამას შეცვლიანო და ასე შემდეგ. დაასახელა კონკრეტული მინისტრების გვარები. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ინფორმაცია გვარამიას „ოცნებიდან“ მიაწოდეს. ეს ფეიკი იყო დასატესტად თუ ნამდვილი...

– ანუ მიზანმიმართულად მიაწოდეს გვარამიას ეს ინფორმაცია?

– მე არ გამოვრიცხავ, ეს ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც ის ადამიანი, რომელსაც ენდობი, მოგაწვდის ინფორმაციას. არის ასეთი მეთოდი და, ვფიქრობ, ასეც მოხდა. ამით დატესტეს, ბიძინას გაპრემიერებაზე რა რეაქცია ექნებოდა საზოგადოებას. რეაქცია კი ძალიან ირონიული იყო ხალხის მხრიდან. ბოლოს ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ არა, ბიძინა როგორ მოვა, მას საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს და ამას ვერ გააკეთებსო. ალბათ დაიწყებენ პრემიერის კანდიდატურის ძებნას.

– ანუ ივანიშვილის მობრუნებას უკურეაქცია მოჰყვა და ეს ვარიანტი გადაიდო?

– კი ბატონო, გადაიდო. ჩხენკელზეც იყო ლაპარაკი და, ესეც რომ სერიოზულად არ აღიქვა ხალხმა, მერე თქვეს, მას ამერიკის მოქალაქეობა აქვს და არც ეს გამოვაო. გახარია რომ არ უნდა ივანიშვილს, ფაქტია. გახარიამ იმხელა ნეგატივი აიკიდა, რომ ივანიშვილს აღარ გამოადგება. მას შეასრულებინებენ შავ სამუშაოს არჩევნებისთვის, კრიმინალთან დაალაგებინებენ საქმეებს და ასე შემდეგ. პრემიერად კი სულ სხვას შეარჩევს.

– წულუკიანიც უცვლელი მინისტრი იყო. მას რაღას ერჩის ივანიშვილი?

– თეა წულუკიანიც ძალიან დიდი უარყოფითი მუხტის მატარებელია. ბოლო პერიოდშიც სულ სკანდალებში ეხვევა. ძალიან გულის ამრევია უკვე მათი საქციელი, თუმცა მეორეს მხრიდან შიშის მომენტიც არის, საფრთხის შეგრძნება აქვს ხალხს.

– რისი ეშინიათ?

– ნაციონალების მობრუნების. მე სულ მეუბნებიან, ასე არ არის და ნუ იძახიო, მაგრამ ხალხს ეშინია ნაციონალების მობრუნების. ნამდვილად არ იყო მიშა ერთპიროვნული მმართველი, მაგრამ მაინც მასზე გადატყდა ჯოხი. ხალხში დადის ეს მოარული ჭორი, შიში, რომ მიშა მართავდა ერთპიროვნულად ყველაფერს. არა და არ არის ასე. ვინც იცის შიდა სამზარეულო, მან იცის, რომ ძალიან დიდი ძალაუფლების მქონე იყო ბოკერიაც, ძალიან დიდი ძალაუფლების მქონე იყო მერაბიშვილიც, აღარაფერს ვამბობ ზურაბ ადეიშვილზე.

– მას საერთოდ რუხ კარდინალად მოიხსენიებდნენ.

– დიახ და ჯოხი მთლიანად გადატყდა მიშაზე, იმიტომ, რომ მიშა არის ჰიპერაქტიური. ამას ტელევიზიაც უწყობს ხელს, დაუძახებენ მიშას, ისიც გამოვარდება, დაიწყებს აგრესიული ტონით ლაპარაკს და ხალხი ფიქრობს, რომ მიშა ტირანია, სინამდვილეში კი ასე არ არის.

– მიშას ბუად დახატვა მის თანაპარტიელებსაც ხომ არ აწყობთ?

– არა მგონია, რაში უნდა აწყობდეთ? მიშა რომ არ იყოს, განახევრდება მათი რეიტინგი. რად უნდა ლაპარაკი, მიშა ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის გადამწყვეტია. მიუხედავად ასეთი რთული პირობებისა, ნაცმოძრაობამ ერთიანობა შეინარჩუნა და არ დაიშალა მთელი ამ 8 წლის განმავლობაში, რაც ძალიან რთულია. მე არ ვარ დარწმუნებული, ოპოზიციაში რომ გადავიდეს „ქართული ოცნება“, მისგან საერთოდ რამე დარჩეს.

– ოპოზიციაში კი არა, ივანიშვილს ლამისაა ახლა დაეშალოს უმრავლესობა. კალაძის ოპოზიციაში წასვლაზეც აქტიურად ლაპარაკობენ.

– არ ვიცი, წავა თუ არ წავა, რთული სათქმელია. ნახეთ, როგორი სიტუაციაა, კალაძემ აკრიფა ძალიან დიდი მხარდაჭერა და რეიტინგი და ის გამოჩნდა, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშე და დამოუკიდებელი ფიგურა. ის გულმხურვალე ამომრჩეველი, რომელსაც ივანიშვილსა და ამ გუნდზე აუცრუვდა გული, არ არის გამორიცხული, რომ კალაძის მხარეს გადაიხაროს. კალაძეში ხედავენ რაღაც ძალას, ახალგაზრდაა, პერსპექტიული და ასე შემდეგ. შესაბამისად, კალაძეს ექნება ორი ვარიანტი. ერთი ვარიანტი იქნება ის, რომ დაივიწყოს დამოუკიდებელი თამაში, რადგან მას დამოუკიდებელი თამაში ძალიან გაუჭირდება, ბიძინასთან დაჯახება არც ისე ადვილია, თანაც მერიაში იმდენი დარღვევა იქნება, იმდენი კორუფცია და ამ ყველაფერს ბიძინა არ აპატიებს. რაც არის და არ არის, ყველაფერს მიაწერს ბატონი ბიძინა. ეს კალაძემაც მშვენივრად იცის, ამიტომ მისი ცალკე გასვლა ძალიან საშიშია. მე მგონია, რომ კალაძე სხვა რამეს შეეცდება.

– რას, რა გეგმა აქვს?

– მე ასე მგონია, რომ კალაძე შეეცდება, შიგნიდან გამოუთხაროს ძირი ივანიშვილს და თვითონ დარჩეს „ოცნების“ ლიდერად. ახლაც გენერალური მდივანია, გარკვეული სადავეები აქვს, აქვს საკმაოდ კარგი მხარდაჭერა პარლამენტში „ოცნების“ ახალგაზრდა ფრთისგან. შესაბამისად, გარკვეული ბერკეტებიც აქვს. ციხეც შიგნიდან ტყდებაო, ვიცით და... ასე რომ, საინტერესო პროცესებს უნდა ველოდეთ. ფაქტია, რომ ახლა ის სიტუაციაა, ჯოხი ვიღაცაზე უნდა გადატყდეს. როგორც ნაციონალებთან დაკავშირებით ყველაფერი საწყალ მიშას აჰკიდეს, რომელიც ამას მართლა არ იმსახურებს, შესაძლოა, აქ ბიძინა ივანიშვილზე გადატეხონ ჯოხი და ყველა ნეგატივი მას აჰკიდონ. ვნახოთ, ბიძინა როგორ იყოჩაღებს. მოკლედ, საინტერესო პროცესები გველის, არ მოვიწყენთ. „ქართულ ოცნებას“ რომ ხელისუფლების დათმობა მოუწევს, ეჭვი აბსოლუტურად არ მეპარება.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

სოსო ცინცაძე: „ოცნებას“ ურჩევნია, ახლა წააგოს არჩევნები, რომ მომავლის შანსი დაიტოვოს“

„ოპოზიციამ წულუკიანს ყოველდღე მადლობები უნდა უხადოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მორიგი შეხვედრა საარჩევნო სისტემაზე მომდევნო კვირას იქნება. არც ერთი მხარე დათმობას არ აპირებს. თეა წულუკიანი ოპოზიციას ურჩევს, თავისი პროპორციული გამოიგლოვოს. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?

– „ქართული ოცნება“ თუ დათმობაზე წავა, ეს ნიშნავს, რომ მან ხელისუფლება უნდა დათმოს. ასე ფიქრობენ „ოცნებაში“. თუ ხელისუფლება ვირზე შეჯდება, არავითარ დათმობაზე არ წავა და სრულად წულუკიანის პოზიციაზე აღმოჩნდება, მაშინ ევროპის, ამერიკელების თვალში მათი ისედაც მიმქრალი რეიტინგი კიდევ უფრო დაეცემა.

მმართველი პარტია მძიმე არჩევანის წინაშე დგას: მან ან უნდა შეინარჩუნოს როგორმე დემოკრატი მმართველის იმიჯი და წავიდეს დათმობაზე, ან საბოლოოდ მოახდინოს ყველას და ყველაფრის იგნორირება, შინ თუ გარეთ, ყველაფრის ფასად შეინარჩუნოს ძალაუფლება, რაც შეიძლება კიდევ უფრო ძვირი დაუჯდეს.

საქართველო ტიპური, კლასიკური ევროპული ქვეყანა რომ იყოს, მმართველი პარტია პირველ არჩევანს გააკეთებდა. ის დათმობაზე წავიდოდა და ამით შეინარჩუნებდა ხელისუფლებაში მეორედ დაბრუნების შანსს, მაგრამ ჩვენ ხომ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ. ამიტომ მე გამოვრიცხავ, „ქართული ოცნება“ რამე სახის დათმობაზე წავიდეს, რასაც შეიძლება, ხელისუფლების დათმობა მოჰყვეს.

დღეს ხელისუფლების მთავარი ამოცანა ის კი არ არის, რას იტყვიან მასზე, როგორც თავად ამბობენ, რამდენიმე ევროპელი დეპუტატი და „ვიღაც“ ამერიკელი კონგრესმენები, მთავარია ძალაუფლების შენარჩუნება.

სამწუხაროდ, ეს უკვე მთავარ იდეოლოგიად, მთავარ კონსტრუქციად იქცა „ქართული ოცნებისთვის“. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ხელისუფლებისთვის საქართველოში ხელისუფლების დაკარგვა ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს.

ინგლისის მაგალითს მოგიყვანთ. მე-19 საუკუნის ინგლისში გლადსტონის პარტია როდესაც არჩევნებს აგებდა, გლადსტონი, იცით, რით იყო დაკავებული? – „ილიადას“ თარგმნიდა.

წარმოიდგინეთ, დღეს იგივე კობახიძე ან წულუკიანი „ილიადას“ თარგმნით რომ იყვნენ დაკავებული! დღეს არჩევნები ხელისუფლებას აღქმული აქვს, როგორც სიკვდილი ან გამარჯვება! „არც ერთი ნაბიჯი უკან, ჩვენ უკან მოსკოვი დგას!“ – აი, დაახლოებით ასეთია განწყობა.

– გამოდის, ეს იქნება შეხვედრა შეხვედრისთვის?

– დიახ, ეს უფრო ჰგავს შეხვედრას შეხვედრისთვის. თუმცა ოპოზიცია არაფერს კარგავს, მეტიც, ხელისუფლების ლუსტრაციას ახდენს, რომ მერე სათქმელი ჰქონდეს. ოპოზიცია კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ უმტკიცებს დასავლეთს, რომ ხელისუფლება კომპრომისზე წასვლას არ აპირებს, არადა, პოლიტიკა კომპრომისის გარეშე არ არსებობს.

ყოველგვარი იუმორის გარეშე ვამბობ, წულუკიანის მისამართით ოპოზიციას მადლობის მეტი არაფერი ეთქმის.

– რატომ?

– ძალზე გულახდილია, მეტისმეტად პოლიტიკისთვის. არც ერთი ევროპელი პოლიტიკოსი არ იტყოდა, ჯობს, ოპოზიციამ ახლავე გამოიგლოვოს დამარცხებაო. წულუკიანმა იმ ჯადოსნურ ჯოხზე მიანიშნა, რომელსაც ხელისუფლება აიქნევს და გამარჯვებაც გარანტირებული იქნება. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ზოგჯერ პოლიტიკაში დღევანდელი წაგება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგება. დღევანდელი წაგება ხშირად ხვალინდელი გარდაუვალი გამარჯვების გარანტიაა, რაზეც უარს ამბობს დღევანდელი ხელისუფლება.

– თუ დასავლეთი არჩევნების შედეგებს კითხვის ქვეშ დააყენებს, რა შეიძლება, ამ შემთხვევაში მოხდეს?

– ღმერთმა ნუ ქნას! ეს იქნება ხელ-ფეხის გახსნა ხალხისთვის, რომ მათი ნება არ იქნა გამოხატული, მათი ნების წინააღმდეგ წავიდა ხელისუფლება. თუნდაც ინდოეთში, იაპონიაში ამას ისეთი სახალხო გამოსვლები, პროტესტი მოჰყვებოდა, რომელიც წალეკავდა მთლიანად მმართველ პარტიასაც და არჩევნების შედეგებსაც. ამას არავის ვურჩევდი. ეს კარგს არ მოუტანს არც თავად ხელისუფლებას და არც არავის, რაც მთავარია, ეს იქნება ძალიან ცუდი ჩვენი ქვეყნისთვის.

– ოპოზიცია რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს?

– ახლა ოპოზიციის ყველაზე დიდი მტერი არის გაურკვევლობა, რომელიც ხალხშია. მათ არ იციან, რა იქნება ხელისუფლების დამარცხებისა და ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში. ხომ იცით, შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველს. ამიტომ ახლა ოპოზიციის მთავარი ამოცანა უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი ღია საუბარი იმაზე, თუ რა იქნება მისი გამარჯვების შემთხვევაში – როგორი იქნება რიგითი ქართული ოჯახის ხვალინდელი დღე, ასევე იმის დაბეჯითებით თქმა, რომ შეუძლებელია, ერთპიროვნულად მიშა დაბრუნდეს მმართველობის სათავეში, რადგან ეს ისევ კოზირია „ოცნების“ ხელში.

ოპოზიციას ძალიან ბევრი სამუშაო აქვს, თუმცა ამ მუშაობას, სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ.

ძალიან სწორი პოზიციაა „გირჩის“ პოზიცია, როდესაც ისინი ამბობენ – ახლავე შევთანხმდეთ, როგორი იქნება, მაგალითად, სამომავლოდ ძალოვანი სტრუქტურები ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში.

ძალიან განათლებული, ნიჭიერი, კრეატიული ხალხი ჩანს „გირჩში“, მაგრამ პოლიტიკური გამოცდილება აკლიათ. ეს იდეა როცა გაახმოვანეს, მოქმედებაც მყისიერად უნდა დაეწყოთ.

გიორგი მშვენიერაძე: „თეა წულუკიანმა კანონი დაარღვია და მისი პასუხისმგებლობა დგება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ინფორმაციის გავრცელება დარღვევაა, როდესაც საუბრობთ, ეს ეხება კონკრეტულ ინფორმაციას თუ ზოგადსაც? მხედველობაში მაქვს ის, რომ წულუკიანმა პარლამენტში ყოფნისას ლომჯარიას უთხრა, რომ სულ ოთხჯერ იყავი პატიმრებთან შეხვედრაზეო. ესეც დარღვევაა?

– ასეთი ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია, თუ რამდენჯერ იყავი პატიმრებთან. იმიტომ, რომ ეს არის იდენტიფიცირებადი, რამდენ პატიმართან იყავი. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური დებატის, არაჯანსაღი, მაგრამ კანონიერი ფორმა. მაგრამ, როდესაც საუბარია კონკრეტულ პატიმრებზე და ამის შესახებ ასაჯაროებს ინფორმაციას, ეს არის დარღვევა.

– იმ ინფორმაციაშიც იყო ნათქვამი, რომ, მაგალითად, ორჯერ შეხვდა დეკანოზ გიორგი მამალაძეს. ამის უფლება ჰქონდა?

– როდესაც კონკრეტულზეა საუბარი, არასწორია ინფორმაციის გასაჯაროება. რაც შეეხება ზოგადად სტატისტიკას, შეიძლება იყოს ეს.

– რა პასუხისმგებლობა უნდა დადგეს ამ შემთხვევაში თანამდებობის პირის მიმართ, ამ შემთხვევაში თეა წულუკიანის მიმართ?

– ალბათ ნახავდით, რომ 2 დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა გავავრცელეთ განცხადება, სადაც ვთქვით, რომ ასეთი ქმედება ნამდვილად არის იმის წინაპირობა, რომ თეა წულუკიანი აღარ იყოს თანამდებობაზე და მისი პასუხისმგებლობა დადგეს. ფაქტობრივად, მისი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ მის სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვა არ იყოს პრიორიტეტული და, პირიქით, ვინც ამის დაცვისკენ იღწვის, მას შეუშალოს ხელი ამ ფუნქციის შესრულებაში. ამიტომ, მინიმუმ მისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. თუ არა უფრო მძიმე ქმედებები, მაგალითად, როგორიც არის გამოძიების დაწყება. არ შეიძლება მინისტრი მიზანმიმართულად და გამიზნულად არღვევდეს ორგანული კანონის მოთხოვნებს და არღვევდეს საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ დაიცვას კონფიდენციალობა.

– ის რა პოლიტიკაა, როდესაც სახალხო დამცველი საუბრობს ციხეებში ე. წ. მაყურებლის ინსტიტუტის დაბრუნებაზე და ამ დროს მინისტრი პრობლემის აღიარების ნაცვლად, რეალურად კონტრშეტევებს ახორციელებს ომბუდსმენზე?

– შესაძლებელია, რომ მინისტრს რაღაც საკითხთან დაკავშირებით ჰქონდეს განსხვავებული მოსაზრება, მაგრამ მე ვისურვებდი, თუნდაც ჩვენი ქვეყნის წარსული გამოცდილებიდან, რომ როდესაც ციხეში პრობლემებსა და ადამიანის უფლებების დარღვევებზეა საუბარი, ეს დოკუმენტები გახდეს სახელმძღვანელო დოკუმენტები, როგორ აღმოიფხვრას არსებული პრობლემები. თუ რაიმე უზუსტობა არსებობს ამ დოკუმენტში, ამასაც მოჰყვეს ჯანსაღი პოლემიკა. ანუ იყოს თემაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელიც პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებებს მიიყვანს უკეთესობამდე. არ უნდა იყოს დებატი, რომ მე სიტყვაში გაჯობებ, ან შენს რეპუტაციას შევლახავ და ამით უკეთესად გამოჩნდება ჩემი საქმიანობა.

ასეთი რამე წარსულშიც გვინახავს, თუნდაც წინა ხელისუფლების პირობებში როდესაც მინისტრები უარყოფდნენ ძალიან სავალალო მდგომარეობას, მაგრამ ამით რა შედეგები მივიღეთ, ეს ყველამ ვნახეთ. ძალიან მძიმედ დაუჯდა წინა ხელისუფლებას ეს, მათ შორის პოლიტიკურადაც. ეს უნდა იყოს მაგალითი ამ ხელისუფლებისთვისაც. თუმცა, სამწუხაროდ, ჩინური ანდაზა, რომ ჭკვიანი ადამიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, ჩვენთან არ მოქმედებს ხოლმე.

ეს არ არის სწორი გზა. მინისტრი, რომელიც დაინტერესებულია უწყების უკეთ მართვით და ადამიანების უსაფრთხოება იყოს დაცული. ჩემი სურვილი იყოს, რომ გვყავდეს ისეთი ხელისუფალი, რომლებიც პრობლემის გადაჭრისკენ არიან მიდრეკილნი და არა პრობლემის მიჩქმალვისკენ, რომელსაც ვხედავდით ქალბატონი წულუკიანის შემთხვევაში.

– 23 იანვარს გაავრცელა ინფორმაცია მთავარმა არხმა, რომ პოლიციამ დაიკავა ლევან იზორიას ძმა და ეს პოლიციელი დააქვეითეს შს მინისტრის მოადგილის ჩარევით. არის თუ არა ეს განგაშის საფუძველი? კონკრეტულად კი ის, რომ თავად პოლიციელები არიან დაუცველები სისტემის მხრიდან?

– აქ საუბარი არ არის მხოლოდ ერთი პოლიციელის დაუცველობაზე. რეალურად ეს არის პრობლემა კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. ჩვენ გვაქვს ქვეყანა, სადაც, ერთი მხრივ, დეკლარირებულად ვაცხადებთ, რომ სამართლის უზენაესობა გვინდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ ეს ასე არ ხდება. მსგავსი პრეცედენტების დაშვებამ თავის დროზე მიგვიყვანა ისეთ კონდიციამდე, როგორიც დღეს გვაქვს. პოლიცია, რომელიც აბსოლუტურად მშვიდობიან აქციის მონაწილეებს აკავებს არგუმენტის გარეშე. სასამართლომ უკვე მეცხრე პირიც ცნო უდანაშაულოდ და რეალურად არასწორად დაკავებულად, რაც მათ შორის ადამიანების შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებებში უხეშად ჩარევას გულისხმობს.

მეორე მხრივ კი ვხედავთ იმას, რომ როდესაც პოლიციელები სწორად აკავებენ ადამიანებს, ეუბნებიან, რომ უნდა გავუშვათ, იმიტომ, რომ აქ ვიღაცის ინტერესი არსებობს. აქ არ არის საუბარი მარტო ერთ პოლიციელსა და მინისტრის მოადგილეზე, აქ არსებობს ვერტიკალი, რომელიც მოქმედებს და რაც გავრცელებულ ვიდეოში კარგად ჩანს. ყველა ხედავს, აკვირდება და გამოაქვს დასკვნები, სამომავლოდ როგორ უნდა იმოქმედონ. როცა ვლაპარაკობთ, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დავამკვიდროთ, ეს პრეცედენტი აჩვენებს, რომ სინამდვილეში სახელმწიფო ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. სწორედ ეს არის განსაკუთრებულად საგანგაშო ამ ჩანაწერებში.

– ის, რომ პოლიციის მიმართ უნდობლობა იზრდება, ამის მიზეზი ასეთი ფაქტებიც ხომ არ არის? უნდობლობა რომ მზარდია, ეს გამოჩნდა „ენ-დი-აი“-ს ბოლო კვლევითაც.

– საზოგადოებას ასეთი ფაქტების შესახებ ბევრი ინფორმაცია არ აქვს, მაგრამ ასეთი ფაქტები არის იმის წინაპირობა, შემდგომში როგორ მოქმედებს პოლიცია. სწორედ ეს განაპირობებს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობას. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა ხელისუფლება, სადაც სამართალდამცავი სისტემა არ იყო პოლიტიკური იარაღი პოლიტიკური ხელისუფლების ხელში. იყო წლები, როდესაც ეს ტვირთი მცირდებოდა, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო ორ წელში ვხედავთ, რომ სამართალდამცავი სისტემა არის მთავარი იარაღი პოლიტიკური ხელისუფლების ხელში, რაც, ბუნებრივია, პოლიციისადმი ნდობას ამცირებს. უნდა გვესმოდეს, რომ არსებობს რაღაცები, რომლის დაკარგვა გაცილებით ცუდია, ვიდრე ხელისუფლების დაკარგვა. სამწუხაროდ, ხელისუფლებებს ეს ავიწყდებათ ხოლმე და მათ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების დაკარგვა უფრო ცუდია, ვიდრე დაიკარგოს ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და უგულებელყოფილი იყოს კანონის უზენაესობის პრინციპი. საბოლოო ჯამში, ეს მთელ საზოგადოებას, მიუხედავად მისი შეხედულებებისა, უკან გვხევს.

თურქეთში აფხაზეთის აღიარებაზე ალაპარაკდნენ

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ შემდგომი აღიარების საშინელი პერსპექტივა, როგორც წესი, უფრო მეტად უკავშირდება ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებს, ასევე – აფრიკის სახელმწიფოებს.

ზოგიერთმა ანალიტიკოსმა წინა წლებში გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის გარიგების შედეგად ანკარა ცნობს აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“.

აფხაზების უმრავლესობა რუსეთსა და თურქეთს რეგიონში ერთმანეთის კონკურენტებად აღიქვამს და თურქეთისაგან აღიარების ილუზიაში არ ვარდება.

თურქეთი არ აღიარებს არც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს და არც ყირიმს რუსეთის ნაწილად.

რუსეთსა და თურქეთს შორის დღეს უფრო მჭიდრო ურთიერთობებია, ვიდრე წინა წლებში იყო, განსაკუთრებით – ენერგეტიკისა და სამხედრო სფეროებში. ეს თურქეთის გარკვეულ წრეებში ახალ იდეებსა და პროგნოზებს აჩენს.

გადამდგარი პოლკოვნიკი, თურქეთის გენერალური შტაბის შინაგანი უსაფრთხოების განყოფილების გამგე უნალ ატაბაში, რომელიც ამჟამად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელია, საქართველოსთვის საშიშ პერსპექტივას სახავს.

მისი სიტყვებით, იმისათვის, რომ რუსეთმა მოახდინოს ბუნებრივი რესურსების ექსპლუატირება სირიასა და მის საზღვაო ზონებში, სჭირდება თურქეთის მიერ კონტროლირებადი ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორია. ამ საკითხში რუსეთისა და თურქეთის თანამშრომლობა გარდაუვალია. რუსეთი მზადაა, თურქეთს დაეხმაროს დაბრკოლებების დაძლევაში სირიაში, ასევე ითანამშრომლოს ანკარასთან ენერგეტიკის დარგში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამისათვის კრემლი მზადაა, აღიაროს ჩრდილოეთ კვიპროსი. რუსეთი ან თვითონ აღიარებს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, ან აღიარებინებს აფხაზეთს. ამას, თურქი სამხედრო ექსპერტის თქმით, შედეგად მოჰყვება თურქეთის მხრიდან აფხაზეთის აღიარება.

თურქული მედიის ცნობით, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთს თურქეთში სამხედრო ბაზაც დასჭირდეს საკუთარი ინვესტიციების დასაცავად.

რუსეთისგან, რომელიც, დასავლელი ანალიტიკოსების შეფასებით, ანდროპოვის სტილის რეფორმებს ატარებს, საქართველოს არაფერი უნდა გაუკვირდეს.

კითხვას აჩენს თურქეთის პოზიცია. წესით, ანკარა აფხაზეთის აღიარებაზე არ უნდა წავიდეს.

თურქეთს ოკუპირებულ აფხაზეთთან წინა წლებში სხვადასხვა სახის არაოფიციალური კონტაქტი ჰქონდა, თუმცა მისი დამოუკიდებლობა არ უღიარებია და ოფიციალურად არ დაურღვევია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

აფხაზეთს თურქეთში გახსნილი აქვს „სრულუფლებიანი წარმომადგენლობა“.

წარმომადგენლობა პირადად აფხაზეთის დე ფაქტო პირველი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას გახსნილია. მისი ოფისი ანკარის ნაცვლად სტამბოლში იმიტომ ამოქმედდა, რომ სტამბოლში აფხაზური დიასპორის ბევრი წარმომადგენელი ცხოვრობს.

სტამბოლის აფხაზური წარმომადგენლობა ნახევარი საუკუნეა ფუნქციონირებს. ის ხელს უწყობს სპორტსმენებისა და ხელოვანების გამოსვლებს.

თურქეთში აქტიურია აფხაზ-აბაზინელთა მსოფლიო კონგრესიც. კონგრესი აფხაზეთშიც იკრიბება.

ცოტა ხნის წინ დროის ახალ გამოწვევებსა და მათზე ოპერატიულ რეაგირებაზე საუბრობდა აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო მინისტრი დაურ კოვე.

იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც აფხაზეთი არ უღიარებიათ, მან გამოყო აფხაზური დელეგაციების სამუშაო ვიზიტები იორდანიასა და ეგვიპტეში.

ალბათ კოვე და მისი გარემოცვა აღიარებას ამ ქვეყნებისგან უფრო ელოდება, ვიდრე თურქეთისაგან.

თუმცა რუსულ-თურქული გარიგების თაობაზე პროგნოზები სოხუმში ბევრს გაახარებს.

დოდო გუგეშაშვილის შვილის, ნოდარ გუგეშაშვილის, მკვლელობისთვის ლეიტენანტი ზაზა მურჯიკნელი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოფილი თადარიგის პოლკოვნიკის, დოდო გუგეშაშვილის დაჭრისა და მისი შვილის, ნოდარ გუგეშაშვილის მკვლელობის საქმე გახსნა.

აღნიშნულთან დაკავშირებით შსს-ში 24 იანვარს ბრიფინგი გაიმართა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის და თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 2018 წელს თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის გახმაურებული საქმე გახსნილია.

სამართალდამცველებმა, გრიგოლ გუგეშაშვილის განზრახ მკვლელობისა და დოდო გუგეშაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი პირი დააკავეს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულია 1975 წელს დაბადებული ზ.მ.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2018 წლის 7 თებერვალს, თბილისში, დოდო გუგეშაშვილის დროებით საცხოვრებელ სახლში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულმკერდის არეში სხეულზე დაზიანებები მიაყენა დოდო გუგეშაშვილს და მის შვილს – გრიგოლ გუგეშაშვილს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. თავად დოდო გუგეშაშვილი, დროული სამედიცინო დახმარების შედეგად, სიკვდილს გადაურჩა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო და ოპერატიული სამმართველოების და თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად დადგინდა აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც 2020 წლის 24 იანვარს თბილისში, ბრალდებულის სახით იქნა დაკავებული.

განზრახ მკვლელობისა და ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – განაცხადეს შსს-ში.

მოგვიანებით გაირკვა, რომ დაკავებული პირი ყოფილი ლეიტენანტი ზაზა მურჯიკნელია.

მურჯიკნელი 2009 წელს მომხდარ მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებულ საქმეზე დაკავებულ პირებს შორის იყო, თუმცა სხვა დაკავებულებთან ერთად 2012 წელს საყოველთაო ამნისტიის შედეგად გათავისუფლდა.

– დარწმუნებული ვარ, რომ ის აიყვანეს, ვინც უნდა აეყვანათ, – ასე გამოეხმაურა დოდო გუგეშაშვილი ზაზა მურჯიკნელის დაკავებას.

მისი თქმით, სახელი და გვარი ზაზა მურჯიკნელი არაფერს ეუბნება.

– ეს სახელი და გვარი არაფერს მეუბნება. ზაზა მურჯიკნელს არავის ვიცნობ საერთოდ. ეს ადამიანი არის შემსრულებელი. ახლა სხვა რაღაცებია გამოსაძიებელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანია მკვლელი. ორი წლის განმავლობაში ვიყავი ჩართული ამ გამოძიების პროცესში და არასოდეს არც ეჭვი შემპარვია და არც სიჩქარე დამინახავს. გამოძიებას ჰქონდა მყარი მტკიცებულებები და იმის საფუძველზე მოხდა ამ პირის დაკავება.

შედეგი უკვე დააყენეს და ახლა მათი საქმეა, დამკვეთის ვინაობაც გამოიძიონ. რადგან კონკრეტული პიროვნება აიყვანეს, არ აქვს მნიშვნელობა, ეს ვინ არის. დარწმუნებული ვარ, რომ ის აიყვანეს, ვინც უნდა აეყვანათ, – განუცხადა დოდო გუგეშაშვილმა „ინტერპრესნიუსს“.

კითხვაზე: დაინახა თუ არა მკვლელის სახე და შეუძლია თუ არა მისი ამოცნობა, გუგეშაშვილმა ასე უპასუხა:

– სახეზე დამინახავს თუ არა, ამაზე ვერც „კი“-ს გეტყვით და ვერც „არა“-ს. ეს არის ჩემი პირადი თემა და ასეთ დეტალებს არ ვხსნი.

პროკურატურა გუგა ბარბაქაძეს საპროცესო შეთანხმებას არ გაუფორმებს

ხორავას ქუჩაზე ლევან დადუნაშვილის მკვლელობაზე მსჯავრდებულ გუგა ბარბაქაძესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე პროკურატურა თანახმა არ არის. აღნიშნულის შესახებ 24 იანვარს ჟურნალისტებს უზენაეს სასამართლოში საქმის პროკურორმა თორნიკე ნადირაძემ განუცხადა.

როგორც პროკურორი განმარტავს, გუგა ბარბაქაძეს როგორც ლევან დადუნაშვილის, ასევე დავით სარალიძის მკვლელობას ედავებიან, რასაც ბარბაქაძე არ აღიარებს. რაც შეეხება დავით სარალიძის მკვლელობაში მსჯავრდებულ გიორგი ჯანაშიას, მასთან მიღწეული საპროცესო შეთანხმების პირობებზე პროკურორი არ საუბრობს.

ნადირაძის თქმით, ვინაიდან სასამართლო პროცესი დახურულია, ის დეტალებთან დაკავშირებით ვერ ისაუბრებს.

– ვადასტურებ, რომ გუგა ბარბაქაძის ინტერესების დამცველის მიერ მოხდა გენერალური პროკურატურისთვის მომართვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით. ერთმნიშვნელოვნად და ცხადად შემიძლია განვმარტო, რომ ასეთი ტიპის მოლაპარაკება არ წარმოებს, ბრალდების მხარე არ არის თანახმა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით.

იმისთვის, რომ საპროცესო შეთანხმება გაფორმებული იყოს, მინიმალური სტანდარტი გახლავთ ბრალის აღიარება. კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდების მხარე 2 ინსტანციის სასამართლოში მიუთითებდა და დღემდე მიუთითებს, რომ გუგა ბარბაქაძის მიმართ არსებობდა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადასტურებდა მის ბრალეულობას ორ ეპიზოდთან მიმართებით, როგორც ლევან დადუნაშვილის, ასევე დავით სარალიძის. ამ პოზიციას დაიჭერს ბრალდების მხარე უზენაეს სასამართლოშიც და ამ საკითხებთან დაკავშირებით, სამართლებრივად იდავებს, – განაცხადა პროკურორმა ნადირაძემ.

ადვოკატი კაკაბაძე: „კალანდიებმა ბოდიში უნდა მოიხადონ“

„ამის ნაცვლად, დავით სარალიძეს, ზაზა სარალიძეს, გიორგი ჯანაშიას ოჯახს შეურაცხყოფას აყენებენ“

– ნაცვლად იმისა, რომ კალანდიებმა ბოდიში მოუხადონ საზოგადოებას, დაზარალებულ მხარეს, ისინი გამოდიან და დავით სარალიძეს, ზაზა სარალიძეს, გიორგი ჯანაშიას ოჯახს შეურაცხყოფას აყენებენ. მიმაჩნია, რომ ეს მათი მხრიდან, სულ მცირე, უხერხულია.

ამის შესახებ გიორგი ჯანაშიას ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც კაკაბაძე განმარტავს, სწორედ მიხეილ კალანდიას მიუძღვის გარკვეული წვლილი იმაში, რომ ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის საქმეზე ჭეშმარიტება ვერ დადგინდა. ის კალანდიების ოჯახს მოუწოდებს, გიორგი ჯანაშიასა და დაზარალებულის მიმართ შეურაცხყოფა შეწყვიტოს.

ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, კალანდიების წინააღმდეგ სამართლებრივი დავა დაიწყოს.

– მინდა კალანდიების ოჯახის ცილისმწამებლურ განცხადებას ვუპასუხო, როგორც დაზარალებულის მიმართ, ასევე გიორგი ჯანაშიას ოჯახის მიმართ. საზოგადოებას შევახსენებ, რომ მიხეილ კალანდია იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მიწოდება საგამოძიებო ორგანოსთვის.

ის თავის დროზე ძალიან ბევრჯერ დაიკითხა და მან ყოველ ჯერზე ჩვენებები შეცვალა და საგამოძიებო ორგანო შეცდომაში შეიყვანა. ეს არის ადამიანი, რომლის ბრალიც არის ნაწილობრივ, რომ საქმეზე თავის დროზე არ გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი დეტალი, რომელიც აინტერესებდა საზოგადოებას და სასამართლოს.

ამ ყველაფრის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ მათ ბოდიში მოუხადონ საზოგადოებას, დაზარალებულ მხარეს, ისინი გამოდიან და დავით სარალიძეს, ზაზა სარალიძეს, გიორგი ჯანაშიას ოჯახს აყენებენ შეურაცხყოფას. მიმაჩნია, რომ სულ მცირე, უხერხულია მათი მხრიდან მსგავსი მოქმედებები. მათ უნდა შეწყვიტონ სხვა პირების მიმართ შეურაცხყოფის მიყენება, საქმის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა და უნდა იდავონ მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივად, – განაცხადა ადვოკატმა კაკაბაძემ.



ადვოკატი აცხადებს, რომ გიორგი ჯანაშიას ჩვენება არც ერთხელ შეუცვლია და მან ყოველ ჯერზე სასამართლოსა და გამოძიებას სწორი ინფორმაცია მიაწოდა.

– ძალიან უხერხულია, როცა გიორგი ჯანაშიას მხრიდან ჩვენების შეცვლაზე საუბრობს ადვოკატი, რომლის დასაცავმა პირმაც 9-10-ჯერ შეცვალა ჩვენება.

გიორგი ჯანაშია თავისი ფეხით, თავის დროზე ჩაბარდა საგამოძიებო ორგანოს, მან იკისრა თავისი წილი პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით, მან სასამართლოს ძალიან დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა, მან ჩვენებები მისცა ასევე საგამოძიებო ორგანოს.

მინდა ყველა პირს მოვუწოდო, ვისაც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს, სიმართლეს ნუ დამალავენ, მიხეილ კალანდიას ოჯახს კი მოვუწოდებ, შეეშვან შეურაცხყოფების მიყენებას როგორც მსჯავრდებულების, ასევე დაზარალებულის მიმართ და საქმეს პოლიტიკურ ჭრილში ნუ გადაიყვანენ. იდავონ მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივად, – დასძინა ადვოკატმა კაკაბაძემ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.
თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.
ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.
ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.
ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲗ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.
ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

დევნილთა კუთვნილი 71.972 ლარის მითვისებისთვის 5 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ერთ-ერთი საბანკო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ერთ-ერთი საბანკო დაწესებულების ოთხი ყოფილი თანამშრომელი და ერთი მოქალაქე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს, სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ხელი მიუწვდებოდათ დევნილთა შემწეობისა და სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა საბანკო ანგარიშებზე.

უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათ მოიძიეს აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა ანგარიშები, რომლებზეც ნაშთის სახით განთავსებული იყო გარკვეული ფულადი თანხები, საერთო ჯამში 71.972 ლარის ოდენობით, რაც სხვადასხვა მანიპულაციების მეშვეობით, მათთვის სასურველ ანგარიშზე გადარიცხეს და შემდგომ გაანაღდეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს, თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით. ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში შემჩნეული სხვა პირების მხილების მიზნით.

ნიუპოსტის ცნობით, დაკავებულებს შორის არიან ქალები. ქვეყნიდან გაქცევა მოასწრო დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელმა.

კონფიდენციალური წყარო ნიუპოსტთან ყვება, რომ კრიმინალურ საქმეში „ქართული ოცნების“ კოორდინატორის შვილი, ბაჩანა ჯაფარიძე ფიგურირებს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მან ქვეყნის საზღვარი სპეცოპერაციამდე რამდენიმე საათით ადრე დატოვა.

„ოცნების“ კოორდინატორი და მიმალვაში მყოფი პირის მამა თამაზ ჯაფარიძე მომხდარის შესახებ არ საუბრობს.

ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ მისი შვილი უდანაშაულოა.

ყალბი 50 დოლარიანების გასაღებისთვის თბილისში 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში გაასაღა აშშ-ის ყალბი 50 დოლარიანი კუპიურები. გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საერთო ჯამში, ამოღებულია 16 550 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი კუპიურა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით“ – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

არასრულწლოვნის მიმართ გარყვნილი ქმედებისთვის დ.ჯ.-ს 5,5 წელი მიესაჯა

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წინასწარი შეცნობით 16 წელს მიუღწეველთან გარყვნილი ქმედებისა და ძალადობისთვის ბრალდებული დ.ჯ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 4 სექტემბერს, დ.ჯ.-მ წინასწარი შეცნობით 16 წელს მიუღწეველ თანასოფელელ გოგონასთან გარყვნილი ქმედება ჩაიდინა, შემდეგ კი მუცლის არეში ხელი დაარტყა.

უწყების ცნობით, სამართალდამცველებმა დ.ჯ. 2019 წლის 13 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარყვნილი ქმედება) და 126-ე მუხლის I1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სხვაგვარი ძალადობა, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ დ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

აშშ ირანთან დაკავშირებულ კომპანიებს სანქციებს უწესებს

ამერიკის შეერთებული შტატები ირანთან დაკავშირებულ კომპანიებსა და ადამიანებს სანქციებს უწესებს.

ვაშინგტონმა ამჯერად „შავ სიაში“ ჰონგ კონგში დაფუძნებული ორი, შანხაიში ერთი და დუბაიში დაფუძნებული ერთი კომპანია შეიყვანა. აღნიშნულის მიზეზი ამ კომპანიების მიერ ირანის ეროვნული სანავთობო კომპანიისთვის დახმარებაა, რათა კომპანიას მოეხდინა მილიონობით დოლარის ღირებულების ნავთობის ექსპორტი აშშ-ის სანქციების გვერდის ავლით.

სანქციები წარმოადგენს აშშ-ის მიერ ირანზე მაქსიმალური ზეწოლის კამპანიის უახლოეს ზომას, რომელიც მიზნად ისახავს, აიძულოს თეირანი, დათმობებზე წავიდეს ბირთვული პროგრამის, რეგიონული აქტივობებისა და ბალისტიკური რაკეტების საკითხებში.

ალექსანდრე ლუკაშენკო: „რუსეთმა თავხედურად დაგვიხურა ბაზარი, რათა დავეჩოქებინეთ“

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ რუსეთი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მოსკოვმა მინსკს სურსათის ბაზარი თავხედურად დაუხურა.

– ჩვენ დღეს ისე აღარ განვიცდით, რომ მათ სურსათის ბაზარი დაგვიხურეს. დაგვიხურეს თავხედურად, უსინდისოდ, უმიზეზოდ, იმიტომ, რომ დავეჩოქებინეთ, რომ დავემცირებინეთ. ჩვენ ამ ყველაფერს არ ვპასუხობთ, თუმცა შეგვიძლია, ვუპასუხოთ, – განაცხადა ლუკაშენკომ.

მან აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში თანასწორი უფლებები უნდა იყოს.

– რუსეთი ჩვენი მთავარი მოკავშირეა. იქნებ აზრზე მოვიდნენ და ნორმალურ ურთიერთობებს დაუბრუნდნენ. ჩვენ გვინდა თანამშრომლობა მათთან თანაბარი პირობებით, როცა ადამიანები, ქვეყნები თანაბარი არიან, – განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა მედიასთან საუბარში.

2018 წელს „როსსელხოზნადზორმა“ გამოავლინა მრავალრიცხოვანი დარღვევები ბელორუსიდან იმპორტირებულ პროდუქციაში და ბელორუსს იმპორტზე შეზღუდვები დაუწესა.

თამაშის დროს მამამ შემთხვევით საკუთარი თავი და შვილი დაჭრა

ამერიკის ინდიანის შტატის ქალაქ ბლუმინგტონში მამამ თამაშის დროს შემთხვევით თავი დაიჭრა და თავისი ოთხი წლის შვილიც დაჭრა.

პოლიციის მონაცემების თანახმად, კვირას, 19 იანვარს, 36 წლის მამაკაცი, რომელსაც თან დატენილი პისტოლეტი ჰქონდა, საწოლში შვილს ხუმრობით ეჭიდავებოდა. ამ დროს იარაღი გადმოუვარდა და გავარდა. ტყვია მამასა და შვილს მოხვდათ.

დაჭრილები სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მამაკაცის ჭრილობა სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, ხოლო მისი შვილი, რომელიც თავშია დაჭრილი, კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. პოლიცია მომხდარის გარემოებებს იძიებს.

ეშმაკის განდევნის რიტუალს შვიდი ადამიანი შეეწირა

პანამაში ეშმაკის განდევნის რიტუალის დროს, რომელიც ერთ-ერთ მივარდნილ დასახლებაში გაიმართა, შვიდი ადამიანი დაიღუპა.

დაახლოებით სამი თვის წინ რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები უცნობ ქრისტიანულ სექტა „ღმერთის ახალ ნათებაში“ გაერთიანდა. რამდენიმე დღის წინ რელიგიური საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა გამოაცხადა, რომ დასახლების მცხოვრებლებს ცოდვები უნდა მოენანიებინათ. ვინც უარს იტყოდა, უნდა მოეკლათ.

სექტის ათამდე წევრმა დასახლების მცხოვრებლები ძალით შეყარა ნაგებობაში, რომელიც მათ ეკლესიის მაგივრობას უწევდა. ისინი გაკოჭეს და რამდენიმე დღის განმავლობაში ჯოხებითა და ბიბლიით უსწორდებოდნენ, აწამებდნენ და მაჩეტეთი ჭრიდნენ, რომ მონანიება ეიძულებინათ.

დასახლების სამმა მცხოვრებმა გაქცევა მოახერხა. მათ ჯუნგლებში გრძელი გზა გაიარეს და უახლოეს დასახლებამდე მიაღწიეს, სადაც საავადმყოფო მდებარეობდა. მათგან მომხდარის შესახებ შეიტყო ხელისუფლებამ. ამის შემდეგ იქ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები გაგზავნეს.

პროკურორ რაფაელ ბალოიესის თქმით, პოლიციელები რაღაც მსგავსისთვის მზად იყვნენ, თუმცა ნანახმა ისინი მაინც გააოგნა. მაჩეტეთი და დანებით შეიარაღებულმა სექტის წევრებმა თხის მსხვერპლად შეწირვა მოასწრეს და ადგილობრივების წამებას აგრძელებდნენ.. ეკლესიაში მყოფი ერთ-ერთი ქალი სრულად გააშიშვლეს.

პოლიციელებმა 14 ადგილობრივის, მათ შორის ორი ფეხმძიმე ქალისა და ბავშვების გადარჩენა მოახერხეს. ისინი შვეულმფრენებით საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ეკლესიიდან ორ კილომეტრში იპოვეს ახალი საფლავი შვიდი ახლად დაღუპული ადამიანის გვამით. ისინი რიტუალის დროს დაიღუპნენ. რელიგიური სექტის წევრებმა მოკლეს ფეხმძიმე ქალი და მისი შვილები, რომელთაგან ყველაზე უმცროსი ერთი წლის იყო და ასევე – მათი 17 წლის მეზობელი გოგონა.

გამომძიებლები ეჭვობენ, რომ მკვლელობაში წვლილი მიუძღვის დაღუპული ქალის მამას. მის გარდა რელიგიური სექტის არასრულწლოვანი წევრიც არის დაპატიმრებული.

ჩინეთის ჯანდაცვის სისტემა საგანგებო რეჟიმში მუშაობს

ჩინეთში, უხანის პროვინციაში, 1000-საწოლიანი საავადმყოფოს ასაშენებლად სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. 25.000 კვადრატულ მეტრზე განლაგებული შენობა, სავარაუდოდ, ფუნქციონირებას 3 თებერვლისთვის დაიწყებს.

საგანგებო რეჟიმში მუშაობენ ქვეყნის სხვა საავადმყოფოებიც, რომლებიც ძალიან გადატვირთულია. ჰონგ კონგის საავადმყოფოს წარმომადგენლის თქმით, ჰოსპიტალის საწოლების 97% უკვე დაკავებულია, მაშინ როცა ქალაქში მიმართვიანობის ზრდას ახალი წლის შემდეგ ელოდებიან.

ამასთან, პეკინისა და შანხაის მთავრობები მოსახლეობას, ვინც ქვეყნის იმ რეგიონებში იმყოფებოდა, სადაც ვირუსის ყველაზე მეტი მაჩვენებელია დაფიქსირებული, მოუწოდებენ, თავი შეიკავონ ქალაქებში ჩასვლისკენ და ადგილზე, სულ მცირე, 14 დღით დარჩნენ.

ახალი კორონავირუსი, სავარაუდოდ, ბრიტანეთშიც დაფიქსირდა. რამდენიმე პაციენტზე, რომლებსაც, დიდი აღბათობით, ვირუსი აქვთ, დაკვირვება მიმდინარეობს.

ვირუსის ორი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა სინგაპურშიც.

ახალი კორონავირუსი ჩინეთის პროვინცია უხანში გასული წლის დეკემბერში დაფიქსირდა მაშინ, როცა ზღვის პროდუქტების ბაზრის რამდენიმე თანამშრომელსა და მომხმარებელს ის ერთდროულად აღმოაჩნდა.

ამ დროისთვის ვირუსით 25 ადამიანია დაღუპული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცს ცოლის ჭირვეულობამ ნახევარი მილიონი მოაგებინა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ კოლონიალ ბიჩის მცხოვრები ცოლის ჭირვეულობას დაჰყვა, ლატარიის ბილეთი შეიძინა და ნახევარი მილიონი დოლარი მოიგო.

ჰარლანდ დოდსონი ამტკიცებს, რომ მაღაზიაში მხოლოდ იმისთვის წავიდა, რომ ცოლისთვის ახალი სანთებელა ეყიდა, იქ მისულმა კი გადაწყვიტა, რომ თავისთვის და მეუღლისთვის ორ-ორი ლატარიის ბილეთი შეეძინა. ერთ-ერთმა მათგანმა ოჯახურ წყვილს ნახევარი მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

– მახსოვს, როგორ ვუთხარი ცოლს: „ჩვენ ახლახან 500 ათასი დოლარი მოვიგეთ!“ – ყვება დოდსონი. პასუხად ცოლმა მოსთხოვა, მოგების მტკიცებულება ეჩვენებინა, ქმარმა კი ხუმრობით ამაზე უარი უთხრა. გამარჯვებული ოჯახი არ აზუსტებს, რაში აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას.

ექვსი წლის გოგონამ ოჯახი ცეცხლში დაღუპვისგან გადაარჩინა

აშშ-ში ექვსი წლის გოგონამ თავისი მშობლები და უმცროსი ძმა ხანძარში დაღუპვას გადაარჩინა.

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის მკვიდრები ექვსი წლის მადალინ კარლბონი, მისი ორი წლის ძმა და მშობლები საკუთარ სახლში დასაძინებლად დაწვნენ. ადგილობრივი დროით დაახლოებით 2:17 წუთზე გოგონა თვალებისა და ყელის წვის შეგრძნებამ გამოაღვიძა. მან დაინახა, რომ სახლი ცეცხლის ალში იყო გახვეული და გაიგონა, რომ სახანძრო სიგნალიზაციაც ამუშავდა.

გოგონამ მძინარე დედის გაღვიძება ვერ შეძლო, მაგრამ მეორე სართულზე აირბინა და მამა გააღვიძა. მან მაშინვე გაიყვანა გოგონა და მისი ძმა ქუჩაში და სახლში მეუღლის გამოსაყვანად შებრუნდა. საბედნიეროდ, ოჯახის ყველა წევრმა ალმოდებული შენობის დატოვება დროულად მოახერხა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა გამოარკვიეს, რომ ხანძრის გაჩენის მიზეზი გახდა შემთხვევით აალებული სამზარეულოს ქურა. სახლი აღდგენას არ ექვემდებარება. ოჯახი იძულებული გახდა, დროებით სასტუმროში გადასულიყო საცხოვრებლად. ისინი გოგონას მადლობელნი არიან გადარჩენისთვის და ნამდვილ გმირად თვლიან.

ზვიგენი სერფერს თავს დაესხა და ფეხზე ღრმა ჭრილობა მიაყენა

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატში ზვიგენი თავს 60 წლის მამაკაცს დაესხა და ფეხზე ღრმა ჭრილობა მიაყენა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ავსტრალიელი მეგობრებთან ერთად სერფინგით იყო დაკავებული. მოულოდნელად მას მარცხენა ფეხზე რაღაცამ დაქაჩა. მამაკაცმა დაიხედა და სისხლი შენიშნა. ამის შემდეგ ის დაფაზე შედგა და ნაპირისკენ გაცურა.

სერფერი ქალაქ ვულონგონგის საავადმყოფოში მარცხენა ფეხზე ღრმა ჭრილობით გადაიყვანეს. ექიმებმა მას პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიეს და ტკივილგამაყუჩებელი მისცეს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ინსპექტორ ტერი მოროუს თქმით, მამაკაცს გაუმართლა, რომ მას პატარა ზომის ზვიგენი დაესხა თავს და არა უფრო დიდი, ვინაიდან მაშინ შედეგი, შესაძლოა, გაცილებით სამწუხარო ყოფილიყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ტიბეტური მედიცინა გთავაზობთ დაავადების გამომწვევ მიზეზთა დიაგნოსტიკას სპეციალური აპარატურით. მკურნალობას ჩაგიტარებენ მოწვეული ექიმები. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ქალმა საკუთარი რწმენის გამოსაცდელად ავარია მოაწყო

ამერიკის პენსილვანიის შტატის დასახლებული პუნქტის დრამზის მკვიდრმა ქალმა საკუთარი რწმენის გამოსაცდელად ავტოსაგზაო შემთხვევა მოაწყო.

31 წლის ნადეჟდა რეილი რამდენიმე საათის განმავლობაში სრულიად უმიზნოდ დადიოდა ავტომობილით, ის ღმერთისგან ნიშანს ელოდა. მას შემდეგ კი, რაც ვერაფერს მიაღწია, მოძრაობის საპირისპირო მხარეს გადავიდა და განზრახ შემხვედრ მანქანას დაეჯახა.

შეჯახების შედეგად მეორე მანქანაში მჯდომი ორი ადამიანი დაშავდა. ისინი სხვადასხვა სიმძიმის ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიციაში ამტკიცებენ, რომ ავტოავარიაში დამნაშავე ქალს სულ მცირე თანაგრძნობაც კი არ გამოუხატავს დაშავებულების მიმართ.

ქალს, სავარაუდოდ, დამამძიმებელ გარემოებებში თავდასხმის ბრალდებას წაუყენებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი გრიმიორი ივანე რევაზიშვილი გარდაიცვალა



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი გრიმიორი, ღირსების მედლის მფლობელი ივანე (ზაზა) რევაზიშვილი გარდაიცვალა.

იგი ათეული წლების განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმესა და თეატრს. თეატრი იყო მისი ოჯახი, სადაც მან თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა.

– თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი გამოხატავს მადლიერებას მისი 44-წლიანი ღვაწლისათვის და თანაუგრძნობს ოჯახს, – ნათქვამია თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

ივანე რევაზიშვილს 26 იანვარს დაკრძალავენ.

რეჟისორი გოგი თოდაძე გარდაიცვალა

75 წლის ასაკში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ქართველი რეჟისორი გოგი თოდაძე გარდაიცვალა.

რეჟისორი მრავალი წლის განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა. ამ თეატრის სცენაზე დაიდგა მისი გახმაურებული სპექტაკლები „ეზოში ავი ძაღლია“ და „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“.

მთლიანობაში რეჟისორმა სხვადასხვა თეატრში 90-მდე სპექტაკლი დადგა.

გოგი თოდაძე ხელმძღვანელობდა სკოლა-სტუდია „ბერიკებს“, რომელმაც ქართულ თეატრსა და კინოს არაერთი ცნობილი მსახიობი გაუზარდა.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

ინფორმაცია გოგი თოდაძის გარდაცვალების შესახებ მსახიობმა ნიკუშა ფაიქრიძემ გაავრცელა:

– წავიდა... დიდი მადლობა, ბატონო გოგი. არასდროს დამავიწყდებით. ვეცდები, ისე მიყვარდეს თეატრი, როგორც თქვენ. უფალს ებარებოდეთ, მაესტრო!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ჩვენს ღირსეულ და ერთგულ მეგობარს აჩიკო ბორჯაძეს

გვიმძიმს იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ, უღალატო და ნამდვილო ქართველო ვაჟკაცო! დიდი დანაკარგი ხარ ოჯახისთვის და შენი სამეგობროსთვის. დაე, ღმერთმა ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს. ჩვენ კი მუდამ გაგიხსენებთ, როგორც ჩვენს ახლო და ძალიან ძვირფას მეგობარს.

წარმოუდგენელია ამ ყველაფრის სიტყვებით გადმოცემა, ჩვენო მეგობარო, მაგრამ, სადაც უნდა იყო, ჩვენს გულებში სამუდამოდ გაქვს დამკვიდრებული შენი საპატიო ადგილი.

შენი მეგობრები – ომარ ფოფხაძე და თეიმურაზ თელია

უახლოესი მეგობრები გივი აბზიანიძე, ანზორ ბურჯანაძე, გურამ გუნავა, ადერკინ კოპლატაძე, ამირან მექვაბიშვილი, ბორის სალარიძე, ნოე ჩაგუნავა, თეიმურაზ ხაზარაძე, ზურაბ ანთაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძველი კოლეგის, ღირსეული პიროვნების

გაიოზ ნოზაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

კოლეგები და მეგობრები ამირან დოლიძე, ანზორ ლაცუზბაია, რევაზ გერგედავა, მერაბ დგებუაძე, ვახტანგ თორდია, დემურ კეკელია, თამაზ ჩოჩია, დავით ცანავა სამძიმარს უცხადებენ ლონდერ ცაავას მეუღლის

ლილი ბოლქვაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მორის ყვითელაშვილი ბრინჯაოს პრიზიორია

ავსტრიის ქალაქ გრაცში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მორის ყვითელაშვილმა ისტორიული მოვლენა დააფიქსირა – ქართველმა სპორტსმენმა ფიგურულ ციგურაობაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ყვითელაშვილმა ბრწყინვალედ იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა!

შეგახსენებთ, რომ მოკლე პროგრამის შემდეგ 24 წლის მორის ყვითელაშვილი მე-4 ადგილზე იმყოფებოდა და მედლისთვის ბრძოლაში პრეტენზიას აცხადებდა.

მორისმა თავისუფალ პროგრამაში 163.94 ქულა მიიღო, რაც დისციპლინაში მე-3 შედეგია. საბოლოო ჯამშიც მე-3 ადგილზე გავიდა – ყვითელაშვილმა 246.71 ქულა დააგროვა და სულ რაღაც 3 მეასედი ქულით ჩამორჩა ვერცხლისმედალოსან რუს არტურ დანიელიანს. ევროპის ჩემპიონი რუსი დმიტრი ალიევი (272.89 ქულა) გახდა.

ევროპის ჩემპიონატზე მედალი ქართველებიდან აქამდე მხოლოდ ელენე გედევანიშვილს ჰქონდა მოპოვებული.

ირაკლი მაისურაძემ თავისუფალ პროგრამაში 140.34 ქულა მოაგროვა და ამ დისციპლინაში მე-14 ადგილზე გავიდა (მე-15 იყო მოკლე პროგრამაში). საერთო ჯამში, მაისურაძემ 214.47 ქულით ასპარეზობა მე-14 ადგილზე დაასრულა, რაც მის კარიერაში საუკეთესო მიღწევაა კონტინენტის პირველობაზე.

წყვილებში რიტმული ცეკვების პროგრამით იასპარეზეს მარია კაზაკოვამ და გიორგი რევიამ და 67.49 ქულა დაიმსახურეს, რითაც მე-12 ადგილი დაიკავეს, რაც კვალიფიკაციის დასაძლევად საკმარისია და თავისუფალი პროგრამით იასპარეზებენ.

ინგლისი ისვენებს, იტალიაში რომაული დერბია



სტატისტიკა, ფსონები

ამ უქმეებზე ინგლისი ისვენებს – ნისლიან ალბიონზე თასის მატჩები გაიმართება. თუმცა ერთი დიდი მატჩი იტალიაში გვაქვს – რომაულ დერბიში რომა დაუხვდება ლაციოს.

გერმანია

25.01 ვოლფსბურგი-ჰერტა	1.84	3.70	4.30
25.01 აინტრახტი-ლაიფციგი	3.90	4.00	1.84
25.01 გლადბახი-მაინცი	1.55	4.40	5.70
25.01 უნიონი-აუგსბურგი	2.22	3.40	3.30
25.01 ფრაიბურგი-პადერბორნი	1.82	3.90	4.10
25.01 ბაიერნი-შალკე	1.20	7.25	13.00
26.01 ვერდერი-ჰოფენჰაიმი	2.42	3.60	2.80
26.01 ლევერკუზენი-ფორტუნა	1.42	5.00	7.00

სატურნირო ცხრილი:

1.ლაიფციგი	18	12	4	2	51-21	40
2.ბაიერნი	18	11	3	4	50-22	36
3.გლადბახი	18	11	2	5	33-20	35
4.დორტმუნდი	18	9	6	3	46-27	33
5.შალკე	18	9	6	3	31-21	33
6.ლევერკუზენი	18	9	4	5	27-22	31
7.ფრაიბურგი	18	8	5	5	29-24	29
8.ჰოფენჰაიმი	18	8	3	7	26-30	27
9.ვოლფსბურგი	18	6	6	6	19-21	24
10.აუგსბურგი	18	6	5	7	31-36	23
11.აინტრახტი	18	6	3	9	29-30	21
12.უნიონი	18	6	2	10	21-27	20
13.კიოლნი	18	6	2	10	22-33	20
14.ჰერტა	18	5	4	9	22-33	19
15.მაინცი	18	6	0	12	26-41	18
16.ვერდერი	18	4	5	9	24-41	17
17.ფორტუნა	18	4	3	11	18-37	15
18.პადერბორნი	18	3	3	12	21-40	12

ესპანეთი

25.01 ესპანიოლი-ბილბაო	2.58	2.85	3.25
25.01 ვალენსია-ბარსელონა	4.70	4.10	1.69
25.01 ალავესი-ვილიარეალი	2.75	3.20	2.70
25.01 სევილია-გრანადა	1.42	4.50	8.50
26.01 ატლეტიკო-ლეგანესი	1.48	4.00	8.20
26.01 სელტა-ეიბარი	2.12	3.30	3.65
26.01 ხეტაფე-ბეტისი	2.10	3.25	3.80
26.01 სოსიედადი-მალიორკა	1.51	4.25	6.75
26.01 ვალიადოლიდი-რეალი	7.50	4.50	1.45

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	20	13	4	3	50-23	43
2.რეალი	20	12	7	1	38-13	43
3.ატლეტიკო	20	9	8	3	22-14	35
4.სევილია	20	10	5	5	25-20	35
5.ხეტაფე	20	9	6	5	29-20	33
6.სოსიედადი	20	9	4	7	33-28	31
7.ვალენსია	20	8	7	5	30-29	31
8.ბილბაო	20	7	9	4	21-14	30
9.ვილიარეალი	20	8	4	8	34-28	28
10.გრანადა	20	8	3	9	25-26	27
11.ბეტისი	20	7	6	7	29-32	27
12ლეგანტე	20	8	2	10	26-30	26
13.ოსასუნა	20	5	10	5	26-25	25
14.ალავესი	20	6	5	9	21-29	23
15.ვალიადოლიდი	20	4	10	6	17-23	22
16.ეიბარი	20	6	4	10	20-29	22
17.მალიორკა	20	5	3	12	22-34	18
18.სელტა	20	3	7	10	17-30	16
19.ლეგანესი	20	3	5	12	16-33	14
20.ესპანიოლი	20	3	5	12	16-37	14

იტალია

25.01 სპალი-ბოლონია	2.90	3.30	2.50
25.01 ფიორენტინა-ჯენოა	1.76	3.70	4.70
25.01 ტორინო-ატალანტა	4.35	4.00	1.76
26.01 ინტერი-კალიარი	1.34	5.20	9.20
26.01 სამპდორია-სასუოლო	2.34	3.30	3.15
26.01 ვერონა-ლეჩე	1.67	3.90	5.10
26.01 პარმა-უდინეზე	2.42	3.20	3.10
26.01 რომა-ლაციო	2.80	3.45	2.50
26.01 ნაპოლი-იუვენტუსი	3.40	3.55	2.12

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	20	16	3	1	39-19	51
2.ინტერი	20	14	5	1	41-17	47
3.ლაციო	19	14	3	2	46-18	45
4.რომა	20	11	5	4	37-22	38
5.ატალანტა	20	11	5	4	50-28	35
6.კალიარი	20	8	6	6	35-31	30
7.პარმა	20	8	4	8	27-27	28
8.მილანი	20	8	4	8	21-26	28
9.ტორინო	20	8	3	9	26-28	27
10.ვერონა	19	7	5	7	22-22	26
11.ნაპოლი	20	6	6	8	28-28	24
12.ბოლონია	20	6	6	8	29-32	24
13.ფიორენტინა	20	6	6	8	25-29	24
14.უდინეზე	20	7	3	10	19-31	24
15.სასუოლო	20	6	4	10	32-35	22
16.სამპდორია	20	5	4	11	20-33	19
17.ლეჩე	20	3	7	10	23-39	16
18.ბრეშა	20	4	3	13	19-38	15
19.სპალი	20	4	3	13	14-30	15
20.ჯენოა	20	3	5	12	21-41	14

საფრანგეთი

25.01 მარსელი-ანჟე	1.79	3.65	4.65
25.01 ბრესტი-ამიენი	2.16	3.35	3.50
25.01 მონაკო-სტრასბური	1.65	4.00	5.20
25.01 სტ.ეტიენი-ნიმი	1.81	3.55	4.70
25.01 მონპელიე-დიჟონი	1.65	3.85	5.50
25.01 რეიმსი-მეცი	1.99	3.00	4.75
26.01 ლიონი-ტულუზა	1.32	5.50	9.20
26.01 ნანტი-ბორდო	1.98	3.15	4.50
26.01 ლილი-პსჟ	6.50	4.70	1.47

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	20	16	1	3	50-14	49
2.მარსელი	20	12	5	3	30-21	41
3.რენი	20	11	3	6	25-18	36
4.ნანტი	20	10	2	8	19-18	32
5.ლილი	20	9	4	7	24-22	31
6.მონპელიე	20	8	6	6	28-20	30
7.ლიონი	20	8	5	7	31-19	29
8.რეიმსი	20	7	8	5	17-13	29
9.მონაკო	20	8	5	7	35-33	29
10.ანჟე	20	8	5	7	23-25	29
11.ნიცა	20	8	4	8	29-28	28
12.სტრასბური	20	8	3	9	23-25	27
13.ბორდო	20	7	5	8	29-24	26
14.ბრესტი	20	6	7	7	26-26	25
15.სტ.ეტიენი	20	7	4	9	22-31	25
16.დიჟონი	20	5	6	9	15-22	21
17.მეცი	20	4	8	8	18-28	20
18.ამიენი	20	4	6	10	23-39	18
19.ნიმი	20	3	6	11	15-33	15
20.ტულუზა	20	3	3	14	21-44	12

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ჯოსვოიღი ბ



შვეულად: 1. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 2. ოსური ცეკვა; 3. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 5. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 6. ხელოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში; 7. ლეო დელიბის ბალეტი; 11. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 14. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 15. შავი ზღვის ზვიგენი; 16. სპორტსმენთათვის აკრძალული აღმგზნები პრეპარატი; 17. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი; 19. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

თარაზულად: 1. ზოდიაქოს ნიშანი; 4. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული მასა; 8. ტერიტორია წყალგამყოფ მთებს შორის, სადაც მდინარე მიედინება; 9. ზღვის დიდი ტალღის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 12. კუთხე საქართველოში; 14. დაბა იტალიის ჩრდილოეთში; 15. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 16. ფრანგული სამოდელო ფირმა; 18. ილეთი ჭიდაობაში; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 22. ძვირფასი ბეწვით გაწყობილი ქალის კაბის საყელო; 23. მუნჯი კინოს დიდი კომიკოსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯილაგი; 2. სუძუკი; 3. ენოლოგია; 4. ალდაგი; 6. თიკანაძე; 8. ოდისეა; 11. საგურამო; 12. გატუიკი; 16. ტაიგა; 17. ბლიცი; 18. პრადა.

თარაზულად: 1. ჯონსონი; 5. თართი; 7. ენისელი; 9. აბსურდი; 10. ბავარია 13. ერლიფტი; 14. კახიძე; 15. ბანი; 19. დუმფარა; 20. კლიასერი; 21. ქაფიანიძე; 22. ბოჰემა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაჯაღლო; 2. ალუვი; 3. გეოლოგია; 4. პლაფონი; 5. საწნახელი; 9. ბრაილი; 12. სლალომი; 14. პაგოდა; 15. ტუბა; 17. ბერნი; 18. ლელა.

თარაზულად: 6. შატილი; 7. პენელოპა; 8. სატივე; 10. ვოლგა; 11. მონოგრაფია; 13. ეპისტოლე; 16. პლომბი; 19. ერდოგანი; 20. საქსონია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 იანვარი

აშშ დოლარი — 2.8870	ევრო — 3.1870
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7823	100 რუსული რუბლი — 4.6592

ამინდის პროგნოზი 25 იანვრისთვის



21 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე

ქრისტე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ასტროპროგნოზი

25 იანვრისთვის

ვერძი – იღბლიანი დღეა, რომელიც განსაკუთრებით წარმატებულია ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის. ბევრი თქვენგანისთვის სასიამოვნო ცვლილებები იწყება. ** კურო** – ცხოვრების აზრის სრულიად ახლებურად აღიქვამთ. წარმატება გელით საოჯახო საქმიანობასა და სამსახურში. უაზრო დროის ხარჯვა ერიდეთ. **ტყუპები** – ძალზე პერსპექტიული დღეა. გაგიმართლებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცოდნის მისაღებად მშვენიერი შანსი გეძლევათ. **კირჩხიბი** – გადაწყვეტილებები თქვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიიღეთ. მიენდეთ ინტუიციას და ისე იმოქმედეთ. თქვენთვის ავტორიტეტული ადამიანების აზრი მხედველობაში მიიღეთ. **ლომი** – სურვილები შესაძლებლობებს დაუქვემდებარეთ, ოღონდ სხვა ადამიანების ინტერესებსაც ნუ უგულებელყოფთ. შესაძლოა, ფინანსების გამო სანერვიულო შეგხვდეთ. **ქალწული** – ძალზე ჰარმონიული დღე გაქვთ. გეგმების განხორციელებაში ხელს ვერაფერი შეგიშლით, თუმცა ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის ენერგიის დახარჯვა მაინც მოგიწევთ. **სასწორი** – დღე დილიდანვე დაგეგმეთ, ოღონდ ყურადღება მხოლოდ მთავარზე გაამახვილეთ. დანაპირები უთუოდ აასრულეთ. **ღრიანკალი** – მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა პერიოდულად შესაძლოა ვითარება დაიძაბოს. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. გარშემომყოფებისადმი მოთმინება და ტაქტი გამოიჩინეთ. **მშვილდოსანი** – ემოციურად ხართ განწყობილი. გიჩნდებათ მოთხოვნილება, ვინმემ თქვენზე იზრუნოს. წყენას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **თხის რქა** – საქმე დინჯად და ორგანიზებულად აკეთეთ. ზოგიერთი საკითხი თქვენგან მყისიერ რეაგირებას მოითხოვს, მაგრამ ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. **მერწყული** – მშვენიერ ფიზიკურ ფორმაში ხართ. ჩანაფიქრის რეალიზაცია არ გაგიჭირდებათ. კოლეგები თქვენ მიმართ სიმპათიას ავლენენ. **თევზები** – საკუთარი წარმატების დაპროგრამებას თავად ახერხებთ. მთავარია, იყოთ გაბედული, თავდაჯერებული და მშვიდი. განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია.

26 იანვრისთვის

ვერძი – იაქტიურეთ. გაგიმართლებთ ყველა სფეროში, განსაკუთრებით – პროფესიონალურში. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები. **კური** – მშვიდი დღეა, რომელიც გპირდებათ ურთიერთობების არეალის გაფართოებას, ცოდნის შეძენას, ახალი ინფორმაციის მიღებას, რომელსაც თქვენ სასარგებლოდ წარმატებით გამოიყენებთ. **ტყუპები** – წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები ძირფესვიანად შეგეცვლებათ. **კირჩხიბი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ გადაიღლებით. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. დროა, ოჯახური ურთიერთობები ერთხელ და სამუდამოდ მოაგვაროთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. იაზროვნეთ პოზიტიურად, რათა შედეგიც პოზიტიური მიიღოთ. **ქალწული** – ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობა ისადგურებს. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. შესაძლოა, ახალი სამსახურიც იშოვოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები ძირფესვიანად შეგეცვლებათ. **ღრიანკალი** – დღეს მნიშვნელოვან საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. შესაძლოა, ცხოვრების სტილი რადიკალურად შეიცვალოთ. **მშვილდოსანი** – ოჯახში ჩხუბსა და აყალმაყალს ერიდეთ. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი. მიენდეთ ინტუიციას. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ინტიმურ სფეროში. გადაწყვეტილება თამამად მიიღეთ. **მერწყული** – გელით საინტერესო შეხვედრა. მიღებული ინფორმაცია გაგახარებთ და რწმენით აღგავსებთ. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. ზომიერების დაცვა არ დაგავიწყდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ექიმი პაციენტს:
– მორჩა, აი, ინებეთ თქვენი კბილი!
– აი, ექიმო, თქვენი საავარძლის სახელური...

•••

მამაკაცი ქალს ეკითხება:
– თქვენთვის რომელი უფრო მნიშვნელოვანია, სიყვარული თუ ფული?
– რა თქმა უნდა, სიყვარული!
– და რა გიყვართ?
– ფული.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:
– ბავშვობიდან მესმის, რომ ღმერთს პირველები კარგი ადამიანები მიჰყავს...
– მერე?
– მერე ის, რომ ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ რაც შეიძლება გვიან წამიყვანოს.

•••

მოსამართლე:
– ბრალდებულო, თქვენი საბოლოო სიტყვა.
– საბოლოო? სულ რაღაც 500 ლარისთვის?
– ამრიგად, ბრალდებულმა აღიარა, რომ 500 ლარი მოიპარა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ვინ არიან დეპუტატები?
– ვინ და ისინი, ვინც ჩემი და შენი ფულით ჩემსა და შენს ფულს იპარავენ.

•••

აქცია მამებისთვის:
– ბავშვი დააძინე და დედა მიიღე საჩუქრად.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– რა განსხვავებაა პარაშუტსა და პრეზერვატივს შორის?
– პარაშუტი როდესაც იხევა, ქვეყანაზე ერთი ადამიანით ნაკლები რჩება, ხოლო პრეზერვატივის შემთხვევაში – ერთი ადამიანით მეტი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იურგენ კლოპი: „ფირმინო ნამდვილი ჯადოქარია“

ლივერპულმა სტუმრად ვულვერჰემპტონი დაამარცხა ანგარიშით 2:1 და გადამწყვეტი გოლი შეხვედრის 84-ე წუთზე რობერტო ფირმინომ გაიტანა.

მატჩის შემდეგ კლოპმა შეაქო თავისი ფორვარდი და თქვა, რომ ფირმინო ნამდვილი ჯადოქარია:

– ძალიან რთული თამაში გამოდგა და ვულვერჰემპტონმა ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, თუმცა ჩვენ ყველა წინააღმდეგობა დავძლიეთ და საბოლოოდ გავიმარჯვეთ. ამაში მთავარი წვლილი რობერტო ფირმინოს მიუძღვის, რომელიც ნამდვილი ჯადოქარია. როდესაც ის მოედანზეა, ყოველთვის გაქვს იმედი.

დემბელემ შესაძლოა ვალენსიასთან ითამაშოს

ბარსელონას ფრანგმა ფორვარდმა უსმან დემბელემ შესაძლოა ვალენსიას წინააღმდეგ თამაში შეძლოს. ვალენსიასთან შეხვედრა შაბათს, 25 იანვარს გაიმართება და ბარსელონას მხოლოდ მოგება აძლევს ხელს, რისი გაკეთებაც მესტალიაზე იოლი არ იქნება.

ლუის სუარესის არყოფნაში მნიშვნელოვანია, რომ დემბელე მოედანზე დროზე დაბრუნდეს და მან ტრავმა უკვე თითქმის მოიშუშა.

სავარაუდოდ, დემბელე ვალენსიასთან მატჩის განაცხადში მოხვდება და შეხვედრას სათადარიგოთა სკამზე დაიწყებს.

ბაიერნს გაბრიელ ჟეზუსის ყიდვა სურს

მიუნხენის ბაიერნს მანჩესტერ სიტის ფორვარდის გაბრიელ ჟეზუსის ყიდვა სურს და თვითონ ფორვარდიც დაინტერესებულია ამ ტრანსფერით, რადგან მან მანჩესტერ სიტის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

ერთადერთი პრობლემა სატრანსფერო ფასია, რომელიც ჟეზუსს 100 მილიონზე მეტი აქვს და ამაზე ნაკლებად სიტი მის გაყიდვას არ აპირებს.

ბაიერნი დიდ თანხებს ფეხბურთელებში იშვიათად იხდის და შესაძლოა მან ჟეზუსი იჯარით აიყვანოს.

ინტერი ერიქსენში 20 მილიონს გადაიხდის

დანიელი ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენი უკვე ოფიციალურად ინტერის ფეხბურთელია. ინტერი დათანხმდა ტოტენჰემის პირობებს და ამ ტრანსფერში 20 მილიონს გადაიხდის, თუმცა თავიდან მილანელები მხოლოდ 15 მილიონს გადახდას აპირებდნენ.

ერიქსენის პრეზენტაცია შესაძლოა უკვე კვირას შედგეს.

მან ინტერთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ერიქსენი წელიწადში 10 მილიონს მიიღებს და იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სპილო სატვირთო მანქანას გაეკიდა და კაპოტი მოაგლიჯა



სამხრეთ ინდოეთში მდებარე ნაიჯერხოუს ეროვნულ პარკში გააფთრებული სპილო სატვირთო ავტომობილს გამოეკიდა და კაპოტი მოაგლიჯა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. გარეული ცხოველი მოულოდნელად თავს დაესხა სატვირთო მანქანას. მძღოლი შეეცადა, უკუსვლით გასცლოდა დადევნებულ სპილოს. ვიდეორგოლის კადრებში ჩანს, რომ მძღოლს ღია კარი ხელით უჭირავს და ცდილობს, უკან იყუროს.

რამდენიმე წამის შემდეგ სპილო მანქანას ეწევა და ეშვებს მის კაპოტს ურტყამს. ისმის რამდენიმე მამაკაცის შეძახილი: „ეი!“ ამის შემდეგ სატვირთო სვლას ანელებს და თითქმის გადადის გზიდან, ხოლო სპილოს მიერ მოგლეჯილი ლითონის პანელი გზის პირას ეცემა.

შემდეგ ავტომობილი ჩერდება, ხოლო სპილო გზის მეორე მხარეს გადადის. ამ ინციდენტის შედეგად არც მძღოლი და არც მგზავრები არ დაშავებულან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მერაბ სეფაშვილის მეუღლე საავადმყოფოში მოხვდა

მომღერალ მერაბ სეფაშვილის მეუღლე ნინო ჯურხაძე ინსულტის დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა.

როგორც მომღერლის პროდიუსერმა გია გოგორიშვილმა განაცხადა, ამჟამად ნინოს ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია:

– დიდი მადლობა მერაბის ოჯახის გულშემატკივრობისათვის. მინდა გაცნობოთ, რომ მისი მეუღლე გადმოყვანილია პალატაში, მდგომარეობა სტაბილურია, არის პროგრესი, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო მკურნალობა.

ნინი წიკლაური მეორე ბიჭის დედა გახდა

მომღერალი ნინი წიკლაური მეორე ბიჭის დედა გახდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

პატარა ამერიკაში დაიბადა. მშობლებმა მას ილია დაარქვეს.

ნინისა და მის მეუღლეს თემო ტუღუშს კიდევ ერთი ბიჭი, საბა ჰყავთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი 2



შვეულად: 1. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 2. გამომწვარი თიხის ნაწარმი, რომელიც დაფარულია ჭიქურითა და ნახატით; 3. ქვიანი ან ქვიშიანი ნიადაგი; 5. საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 7. სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდება; 9. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ლუკას კრანახის ფერწერული ტილო; 13. ბატონის, მემამულის ქონების მმართველი ძველად საქართველოში; 15. კერძო პირის ან ორგანიზაციის კუთვნილი ქონების გამოყენების აკრძალვა; 16. უბანი თბილისში; 18. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი.

თარაზულად: 4. უდაბნოში მზარდი დაბალი ხე, ბუჩქი; 6. გეომეტრიული ფიგურა; 8. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 10. სამონასტრო კომპლექსი შიდა ქართლში; 11. ღამის ფრინველი; 12. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი ხვლიკი; 14. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 17. წყვილად აჭრილი ყურძნის მტევანი; 19. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 20. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; 21. შტატი აშშ-ში; 22. ყურძნის დასაწური ჭურჭელი; 23. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა